

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ცენტრალი
ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა
2017 წლის 31 დეკემბერს

ეკა ზაჩაძე

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში3

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება5

სრული შემოსავლის ანგარიშგება 6

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 7

ფულადი ნაკადების ანგარიშგება8

1. ზოგადი ინფორმაცია9

2. მომზადების საფუძველი 10

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება15

4. კრიტიკული ბუღალტრული შეფასებები და მსჯელობები23

5. ფული და ფულის ექვივალენტები 24

6 კლიენტებზე გაცემული სესხები 24

7. უბრავე ქონება და აღქურვილობა25

დაბეგვრა 26

9. ნასესხები სახსრები 27

10. საწესდებო კაპიტალი 28

11. წმინდა საპროცენტო შემოსავალი 28

12. საოპერაციო და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები 29

13. ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი, სასამართლო ხარჯები29

14. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკის მართვა 30

15. კაპიტალის მართვა 33

16. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან33

17. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები 34

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ცენტრალის აქციონერებსა და მენეჯმენტს

შინაარსი

ჩვენ ჩავატარეთ შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ცენტრალის (შემდეგში ორგანიზაცია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს მოცემულ თარიღებში დასრულებული საანგარიშგებო წლებისთვის, ასევე შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

მიგვაჩნია რომ თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა მატერიალური თვალსაზრისის გათვალისწინებით, სამართლიანად წარმოადგენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრისთვის, ასევე მისი ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება მოცემულ თარიღებში დასრულებული საანგარიშგებო წლებისთვის და ფინანსური მდგომარეობა სრულ შესაბამისობაშია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს).

საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი რომელიც შესაბამისობაშია აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან. ამ სტანდარტის შესაბამისად ჩვენი პასუხისმგებლობა ფართოდაა განხილული რეპორტის აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ნაწილში. ჩვენ ვართ ორგანიზაციისგან დამოუკიდებელი და ვმოქმედებთ პროფესიონალ ბუღალტერთა, ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს შესაბამისად (IESBA Code) ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად რომლებიც შესაბამისია საქართველოში ფინანსური ანგარიშგების აუდიტის. ჩვენ შევასრულეთ ჩვენი სხვა ეთიკური პასუხისმგებლობა ამ მოთხოვნებისა და IESBA კოდექსის შესაბამისად.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ, საკმარის და შესაფერის საფუძველს წარმოადგენს აუდიტის დასკვნისთვის.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად სამართლიან წარდგენაზე, ასევე ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნასა და გამოყენებაზე, რომელიც მენეჯმენტის რწმენით უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობისა თუ შეცდომის შედეგად წარმოშობილ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, მენეჯმენტის პასუხისმგებლობაა შეაფასოს ორგანიზაციის უნარი შესაძლებელია თუ არა გააგრძელოს საქმიანობა როგორც მოქმედმა დაწესებულებამ, საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლებთან დაკავშირებული საკითხების საშუალოზე გამოტანით მანამ სანამ მენეჯმენტი განიზრახავს ლიკვიდაციას ან საწარმოს საქმიანობის შეწყვეტას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია დააკვირდეს ორგანიზაციის ფინანსური რეპორტირების ჩატარების პროცესს.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ გორიზონული გარანტია იმის შესახებ რომ ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს თაღლითობისა თუ შეცდომის შედეგად წარმოშობილ არსებით უზუსტობებს და ამ მტკიცებულებასთან დაკავშირებით გამოვცეთ აუდიტორის დასკვნა რომელიც შეიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული მტკიცებულება წარმოადგენს მაღალი დონის მტკიცებულებას თუმცა ის არ იძლევა გარანტიას იმისა რომ აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და მისი არსებობის შემთხვევაში ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობებს.

...ლითობისა თუ შეცდომის შედეგად წარმოშობილი უზუსტობები შეიძლება ჩაითვალოს უზუსტობად, ინდივიდუალურად ან მთლიანობაში, იმ შემთხვევაში თუ არსებობს გონივრული ეჭვი, რომ მომხმარებლის მიერ ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე მოახდენს გავლენას.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აუდიტის დროს ჩვენ ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმსა და პროფესიული განსჯის უნარს. ასევე ჩვენს მოვალეობებში შედის:

- დავაიდენტიფიციროთ და შევაფასოთ თაღლითობისა თუ შეცდომის შედეგად წარმოშობილი ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკი, ჩამოვყალიბოთ და შევასრულოთ პროცედურები რომლებიც შესაბამისობაშია ზემოთ აღნიშნულ რისკებთან და მოვიპოვოთ აუდიტის მტკიცებულება რომელიც იქნება საკმარისი და შესაბამისი რომ უზრუნველყოს ჩვენი აზრის საფუძველი. არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი თაღლითობის დროს უფრო მაღალია ვიდრე შეცდომის დროს, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს შეთქმულებას, დოკუმენტების გაყალბებას, გამიზნულ წინდაუხედაობას, ინფორმაციის არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- შევიქმნათ ნათელი წარმოდგენა შიდა კონტროლზე, რომელიც აუდიტის რელევანტურია, იმ მიზნით რომ შევიმუშავოთ აუდიტის პროცედურები, რომლებიც შესაბამისია გარემოებებთან. თუმცა ჩვენ მიზნებში არ შედის გამოვთქვათ მოსაზრება ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- შევაფასოთ გამოყენებული აღრიცხვის პოლიტიკის მიზანშეწონილობა და მენეჯმენტის მიერ განხორციელებული საბუღალტრო შეფასებისა და დაკავშირებული განმარტებების გონივრულობა.
- მოპოვებულ აუდიტორულ დასკვნის საფუძველზე შევიმუშავოთ დასკვნა მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლების გამოყენების შესახებ და განვსაზღვროთ არსებობს თუ არა მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებული მატერიალური უზუსტობები რომლებმაც შესაძლებელია მნიშვნელოვანი ეჭვი გამოიწვიოს იმის შესახებ აქვს თუ არა ორგანიზაციას უნარი გააგრძელოს არსებობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით მატერიალური უზუსტობების არსებობას, მოგვეთხოვება რომ აუდიტორის ანგარიშის წარდგენისას გავამახვილოთ ყურადღება ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებულ განმარტებებზე ან შევცვალოთ ჩვენი მოსაზრება. ჩვენი დასკვნა ეფუძნება აუდიტის მტკიცებულებას, რომელიც მოპოვებულია ჩვენი განახლებული ანგარიშიდან. თუმცა, მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ორგანიზაციის არსებობის შეწყვეტა ფუნქციონირებადი საწარმოს კონტექტში.
- შევაფასოთ ზოგადი სტრუქტურა და შინაარსი ფინანსური ანგარიშგების, რომელიც ძირითადად გარიგებებსა და მოვლენებს წარმოადგენს.
- მოვიპოვოთ საკმარისი და შესაბამისი აუდიტის მტკიცებულება, რომელიც დაეფუძნება საწარმოს ფინანსურ ინფორმაციას ან ორგანიზაციის ბიზნეს საქმიანობას, იმ მიზნით რომ გამოვხატოთ მოსაზრება ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ ვინარჩუნებთ პასუხისმგებლობას მხოლოდ ჩვენ აუდიტორულ მოსაზრებაზე.

კონფიდენციალს ვამყარებთ მმართველობასთან აუდიტის დაგეგმილი მასშტაბებისა და დროის და მნიშვნელოვანი აუდიტის დასკვნების გათვალისწინებით, რომელიც ასევე მოიცავს ნებისმიერ შიდა კონტროლის ხარვეზს რომელიც გამოვავლინეთ ჩვენი აუდიტის დროს.

აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი

ფორმალური პარტნიორი

მომხმარებლის სახელით

მთავარი, საქართველო

მარტი 2018 წ.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ცენტრალი
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ქართულ ლარში)

	Note	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	5	422,684	604,635
გაცემული სესხები	6	1,842,667	285,337
სხვა აქტივები		40,489	42,258
უძრავი ქონება და აღჭურვილობა	7	202,783	242,249
გადავადებული საშემოსავლო გადასახადის აქტივი	8	1,742	135,183
სულ აქტივები		2,510,365	1,309,662
ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	9	1,583,063	1,312,805
სხვა ვალდებულებები		36,365	22,136
მთლიანი ვალდებულებები		1,619,428	1,334,941
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	2,602,000	794,500
აკუმულირებული ზარალი		(1,711,063)	(819,779)
მთლიანი კაპიტალი		890,937	(25,279)
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		2,510,365	1,309,662

ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2018 წლის 25 აპრილს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი _____ იმრან ხიზარ ჰაიატი

ფინანსური დირექტორი _____ ირინა ვორმანი

განმარტებული განმარტებები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

25/04/2018

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

	Note	2017	2016
საპროცენტო შემოსავალი	11	581,768	26,458
საპროცენტო ხარჯი	11	(99,009)	(20,616)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურებამდე		482,759	5,842
სესხების გაუფასურების ხარჯი	6	5,727	(5,727)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		488,486	115
ჯარიმებიდან მიღებული შემოსავალი		25,293	660
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(746,517)	(605,152)
საოპერაციო და სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	12	(504,701)	(283,640)
კურსთაშორის სხვაობიდან წარმოშობილი ზარალი		(20,404)	(25,034)
მოგება დაბეგვრამდე		(757,843)	(913,051)
სარგებელი საშემოსავლო გადასახადიდან /(ხარჯი)	8	(133,441)	131,721
წლის სრული ზარალი		(891,284)	(781,330)

25.12.2017

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ცენტრალი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ
ბალანსი 2015 წლის 31 დეკემბერს	484,388	(38,449)	445,939
საწესდებო კაპიტალის ზრდა	310,112	-	310,112
წლის სრული ზარალი	-	(781,330)	(781,330)
ბალანსი 2016 წლის 31 დეკემბერს	794,500	(819,779)	(25,279)
საწესდებო კაპიტალის ზრდა:			
- ფულადი შენატანით	1,202,075	-	1,202,075
- კონვერტირებული ნასესხები სახსრები	605,425	-	605,425
წლის სრული ზარალი*	-	(891,284)	(891,284)
ბალანსი 2017 წლის 31 დეკემბერს	2,602,000	(1,711,063)	890,937

საინვესტიციო პროგრამის განხორციელების გეგმით
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ქართულ ლარში)

	Note	2017	2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მოგება დაბეგვრამდე		(757,843)	(913,051)
კორექტირებები:			
სესხების გაუფასურების ხარჯი	6	(5,727)	5,727
დარიცხული პროცენტის ნეტო ცვლილება	11	(482,759)	(5,842)
ცვეთის ხარჯი	12	56,879	38,560
წმინდა ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან		20,404	25,034
ფულადი ნაკადების გადინება საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში		(1,169,046)	(849,572)
საოპერაციო აქტივების შემცირება (ზრდა):			
გაცემული სესხები		(1,502,395)	(280,064)
სხვა აქტივები		1,769	(35,520)
საოპერაციო ვალდებულებების ზრდა:			
სხვა ვალდებულებები		14,229	1,934
ფულადი ნაკადების გადინება საოპერაციო საქმიანობიდან, დაბეგვრამდე		(2,655,443)	(1,163,222)
მიღებული პროცენტი		532,560	26,458
გადახდილი პროცენტი		(113,500)	(4,766)
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საოპერაციო საქმიანობიდან		(2,236,383)	(1,141,530)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
უძრავი ქონებისა და აღჭურვილობის შესყიდვა	7	(17,413)	(271,615)
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან		(17,413)	(271,615)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:			
შემოდინება ნასესხები სახსრებიდან		937,669	1,187,334
ნასესხები სახსრების დაფარვა		(48,826)	-
შემოდინება საწესდებო კაპიტალის ზრდიდან		1,202,075	310,112
ფულადი ნაკადების წმინდა შემოდინება ფინანსური საქმიანობიდან		2,090,918	1,497,446
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში		(162,878)	84,301
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	5	604,635	446,747
გაცვლითი კურსის ცვლილების ნეტო ეფექტი			
უცხოურ ვალუტაში არსებულ ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		(19,073)	73,587
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს		422,684	604,635

შპს "საინვესტიციო პროგრამის განხორციელების გეგმით" 9-34-ზე მოცემული განმარტებები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ი.ს. მამუკაძე

1. ზოგადი ინფორმაცია

ა) ორგანიზაცია

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ცენტრალი წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიას (შემდგომში „ორგანიზაცია“), რომელიც შეიქმნა 2015 წლის 23 ოქტომბერს. კომპანია დარეგისტრირდა საქართველოში, თბილისი, საგადასახადო დეპარტამენტის ოფისი; სარეგისტრაციო ნომრით 405121817.

ორგანიზაცია თავის საქმიანობას განახორციელებს მიკროსაფინანსო საქმიანობის შესახებ კანონის ფარგლებში და რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ („სებ“).

ორგანიზაციის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მიკრო-დაფინანსება. კომპანიის ფინანსური პროდუქტები მოიცავს ავტო სესხებს, იპოთეკური სესხებს და ავტო-ლომბარდს.

ორგანიზაციის საერთო მიზანია, უზრუნველყოს მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეები საჭირო/აუცილებელი რესურსებით, მათი ფინანსური რესურსების ეფექტურად მართვისა და სასოფლო-სამეურნეო, კომერციული, სავაჭრო და დამამზადებელ საწარმოებში შემოსავლების გაზრდის მიზნებისათვის, ურბანულ და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების რეგიონებში ზღმისაწვდომი ფინანსური დახმარების უზრუნველყოფის გზით.

ორგანიზაციის მმართველ ორგანოს წარმოადგენს აქციონერთა საერთო კრება. თითოეულ ფილიალში ყოველდღიურ საქმიანობას ზედამხედველობას უწევს ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული და აღმასრულებელი დირექტორის მიერ ნომინირებული ფილიალის მენეჯერი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციას გააჩნდა თბილისში, გიორგი სააკაძის 2, შეს.II-ში მდებარე სათაო ოფისი, ასევე, კიდევ სამი ფილიალი თბილისში.

აქციონერების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ, განმარტება 10-ში. ორგანიზაციას არ გააჩნდა ძირითადი მაკონტროლებელი მხარე 2016 წლის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ბ) ცვლილებები საქართველოს კანონმდებლობაში

2017 წლის 23 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა გადაწყვეტილებას „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონში შემდეგ ცვლილებებთან დაკავშირებით:

- მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ ერთ მსესხებელზე გაცემული მიკროკრედიტის მაქსიმალური ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 100,000 ლარს (ნაცვლად მანამდე გაცხადებული 50,000 ლარისა);
- რეგისტრაციის მომენტში, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საწესდებო კაპიტალში მინიმალური გადახდილი სააქციო კაპიტალი არ შეიძლება შეადგენდეს 1,000,000 ლარზე ნაკლებს (ნაცვლად მანამდე გაცხადებული 250,000 ლარისა). არსებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის საწესდებო კაპიტალის განსაზღვრული მინიმალური ოდენობა უნდა შეივსოს 2019 წლის 1 ივლისამდე შემდეგი გზით:
 - არა ნაკლებ 500,000 ლარისა - 2018 წლის 1 სექტემბრამდე;
 - არა ნაკლებ 1,000,000 ლარისა - 2019 წლის 1 ივლისამდე.

საწესდებო კაპიტალის საერთო ოდენობა უნდა შეივსოს მხოლოდ მონეტარული გზით.

2. მომზადების საფუძველი

შესაბამისობის განაცხადი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშები მომზადებულ იქნა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების შესაბამისად, (ერთობლივად IFRS).

ორგანიზაცია აწარმოებს თავის აღრიცხვას და ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას ქართულ ლარში (GEL), ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების თანახმად.

ორგანიზაციის ანგარიშგების პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით კალენდარულ წელს.

თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მიღებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად, მოითხოვს გარკვეული კრიტიკული საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას. ეს ასევე მოითხოვს მენეჯმენტს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ორგანიზაციის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენებისას. ის მნიშვნელოვანი არეალები, სადაც ფინანსური ანგარიშგებისა და მათი ეფექტების მომზადებისას მოხდა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება და გაკეთდა შეფასებები, წარმოდგენილია განმარტება 4-ში.

შეფასების საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა თავდაპირველი (ისტორიული) ღირებულების ფარგლებში.

მოქმედი საწარმო

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულ იქნა იმ მოსაზრებით, რომ ორგანიზაცია წარმოდგენს მოქმედ საწარმოს და გააგრძელებს თავის საქმიანობას პროგნოზირებად მომავალში. მენეჯმენტი და აქციონერები განიზრახვეს ორგანიზაციის საქმიანობის შემდგომ განვითარებას საქართველოში.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული დანაკარგების მიუხედავად, ორგანიზაცია არ საჭიროებს ფინანსური მხარდაჭერის მიღებას აქციონერებისაგან, ასევე, მესამე მხარეებისგან. ლიკვიდურობის გაუმჯობესების მიზნებისათვის მენეჯმენტი ღიაა კრედიტორებთან მოლაპარაკებებისთვის ნასესხები სახსრების (დეტალები წარმოდგენილია ქვემოთ, განმარტება 17-ში) გაგრძელებასთან დაკავშირებით, რამდენადაც, ხელშეკრულებების უმრავლესობა ითვალისწინებს განახლების პირობებს.

მენეჯმენტს სჯერა, რომ მოქმედი საწარმოს დაშვება მართებულია და ორგანიზაცია გამოიმუშავებს დადებით ფულადი ნაკადებს, მისი მიმდინარე ვალდებულებების დასაფარავად.

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

ა) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან.

სტანდარტებში შეტანილ არცერთ შესწორებას, რომელიც ძალაშია ამ თარიღიდან, მნიშვნელოვანი ზეგავლენა არ მოუხდენია ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები არ არის ჯერ ძალაში.

შემდეგი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც არ არის ჯერ ძალაში შესული და არ იქნა მიღებული ადრე ამ ფინანსურ ანგარიშგებაში, ექნება ან შეიძლება ქონდეს

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

გავლენა ორგანიზაციის მომავალ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 15 - მომხმარებლებთან დადებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლები
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 9 - ფინანსური ინსტრუმენტები
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 16 - იჯარები

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 15 მომხმარებლებთან დადებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლები. 2014 წლის მაისში გამოიცა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 15, რომელიც ადგენს ცალკეულ ყოვლისმომცველ მოდელს საწარმოებისთვის მომხმარებლებთან დადებული კონტრაქტებიდან წარმოშობილი შემოსავლების გამოყენების გათვალისწინებით. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 15 ჩაანაცვლებს მიმდინარე შემოსავლების აღიარების სახელმძღვანელო მითითებებს, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (IAS) 18-ის (შემოსავლები) და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (IAS) 11-ის (სამშენებლო კონტრაქტები) ჩათვლით, ასევე, მასთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს, ძალაში შესვლის შემდგომ.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 15-ის ძირითადი პრინციპის შესაბამისად საწარმომ დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემის ასახვისას, ამონაგები უნდა აღიაროს იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც საწარმო მოელის ამ საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. კონკრეტულად, სტანდარტი ითვალისწინებს ცალკეულ პრინციპს, რომელიც ეფუძნება მომხმარებლებთან ყველა კონტრაქტში გამოყენებად ხუთ ნაბიჯიან მოდელს.

ზემოთხსენებული მოდელი შემდეგი ხუთი ნაბიჯიდან შედგება:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების იდენტიფიცირება
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა
- ტრანზაქციის ფასის გამოყოფა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისთვის
- შემოსავლების აღიარება, როდესაც (ან როგორც კი) საწარმო აკმაყოფილებს ვალდებულებების შესრულებას

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 15-ის ფარგლებში საწარმო აღიარებს შემოსავალს, როდესაც, ან როგორც კი ვალდებულებების შესრულება დაკმაყოფილდება, ასე მაგალითად, როდესაც საქონლის ან მომსახურების „კონტროლი“, რომელსაც საფუძვლად უდევს კონკრეტული ვალდებულების შესრულება, გადაეცემა მომხმარებელს. უფრო მეტად დირექტიული სახელმძღვანელო მითითებები დაემატა ისეთ სფეროებს, როგორიცაა შემოსავლის აღიარების წერტილი, ცვალებადი ანაზღაურების აღრიცხვა, ხელშეკრულების შესრულების და მიღების ხარჯი და სხვადასხვა დაკავშირებული გარემოებები. ასევე, წარმოდგენილია შემოსავლების განცხადებასთან დაკავშირებული ახალი ნორმები.

სტანდარტი ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან; დაშვებულია ადრეულად მიღებული განაცხადების განხილვა. საწარმოს მიერ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 15-ის შერჩეული მიდგომის გამოყენებამ შეიძლება სხვადასხვა მოთხოვნისთვის გამოიწვიოს ერთი ან ერთზე მეტი თავდაპირველი გამოყენების თარიღი.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 9 ფინანსური ინსტრუმენტები. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 9 გამოიცა 2009 წლის ნოემბერში, რომელიც ითვალისწინებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და შეფასების ახალ მოთხოვნებს. შემდგომში, 2010 წლის ოქტომბერში, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 9-ში შევიდა შესწორებები, რომელიც ითვალისწინებს ფინანსური ვალდებულებებისა და აღიარების გაუქმების კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნებს; ხოლო 2013 წლის ნოემბერში სტანდარტით გათვალისწინებულია ზოგადი ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოთხოვნები. 2014 წლის ივლისში საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოსცა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 9-ის საბოლოო ვერსია, რომლითაც ძირითადად გათვალისწინებულია ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნები და ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნების შეზღუდული შესწორებები. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 9 მიზნად ისახავს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (IAS) 39-ის - ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება - ჩანაცვლებას.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 9-ის ძირითადი მოთხოვნები:

- **ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შეფასება.** ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება იმ ბიზნეს მოდელის საფუძველზე, რომელიც გამოიყენება ფინანსური აქტივების მართვისთვის, და ფინანსური აქტივების საკონტრაქტო მახასიათებლების შესაბამისად. უფრო კონკრეტულად, ვალების მართვის ის ინსტრუმენტები, რომლებიც გამოიყენება ბიზნეს მოდელის ფარგლებში და რომლის მიზანია მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების აკუმულირება, ასევე, რომელთაც გააჩნიათ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, რომლებიც წარმოადგენენ მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს ვადაგადაცილებული ძირითადი თანხის, ზოგადად, ფასდება ამორტიზირებულ ხარჯად თავდაპირველი აღიარების შემდგომ. 2014 წლის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 9 ითვალისწინებს კატეგორიას „სამართლიანი ღირებულება სხვა სრული შემოსავლის გათვალისწინებით“, იმ სავალ ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც გამოიყენება ბიზნეს მოდელის ფარგლებში, და რომელთა მიზნის მიღწევაც ხორციელდება როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების აკუმულირების, ასევე, ფინანსური აქტივების გაყიდვის გზით და რომელსაც გააჩნია ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო პირობები, რომელიც განსაზღვრავს ფულადი ნაკადების თარიღებს, რაც წარმოადგენს ვადაგადაცილებული ძირითადი თანხის მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებს, რომელიც ფასდება თავისი სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის გათვალისწინებით თავდაპირველი აღიარების შემდგომ. ყველა სხვა ვალი და სააქციონერო ინვესტიციები ფასდება მათი სამართლიანი ღირებულებით. ამასთან ერთად, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 9-ის ფარგლებში, საწარმოებს შეუძლიათ გამოუთხოვადი არჩევანის გაკეთება, რათა წარმოადგინონ შემდგომი ცვლილებები სააქციონერო ინვესტიციის სამართლიან ღირებულებაში (რომელიც არ არის განკუთვნილი ვაჭრობისთვის) სხვა სრულ შემოსავალში, მხოლოდ დივიდენდის შემოსავლით, რომელიც ზოგადად აღიარებულია მოგებას ან ზარალში.
- **ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება.** ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ანალოგიური წესით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (IAS) 39-ის ფარგლებში, თუმცა, არსებობს სხვაობები მოთხოვნებში, რომელიც გამოიყენება საწარმოს საკრედიტო რისკის შეფასებისას. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 9 მოითხოვს, რომ ფინანსური ვალდებულების სამართლიან ღირებულებაში ცვლილების თანხა, რომელიც მიეკუთვნება ამ ვალდებულების საკრედიტო რისკებში ცვლილებას, წარმოადგენილი იყოს სხვა სრულ შემოსავლებში, თუ OCI-ში ვალდებულების საკრედიტო რისკში ცვლილების ეფექტის აღიარება არ შექმნის ან გაზრდის აღრიცხვის შეუსაბამობას მოგებას ან ზარალში. ცვლილებები სამართლიან ღირებულებაში, რომელიც მიეკუთვნება ფინანსური ვალდებულებების საკრედიტო რისკს, არ არის სათანადოდ რეკლასიფიცირებული მოგებას ან ზარალში

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

- **ჰეჯირების აღრიცხვა.** წარმოადგენს ჰეჯირების აღრიცხვის ახალ მოდელს, რომელიც შექმნილია პროცესებთან უფრო მეტი შესაბამისობის მიზნებისათვის, ასევე, თუ როგორ ახორციელებენ საწარმოები რისკის მართვის საქმიანობას, ახდენენ რა ფინანსური და არა-ფინანსური რისკის ზეგავლენის ჰეჯირებას. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 9-ის ფარგლებში, უფრო მეტი მოქნილობა გამოიკვეთა იმ ტიპის ტრანზაქციების მიმართ, რომელთა შემთხვევაშიც შეიძლება გამოყენებული იქნას ჰეჯირების აღრიცხვა, კერძოდ, გაფართოვდა იმ ინსტრუმენტების ტიპები, რომლებიც ექცევა ჰეჯირების ინსტრუმენტების კლასიფიკაციაში, ასევე გაფართოვდა არა-საფინანსო საგნის რისკის კომპონენტების ტიპები, რომელიც შეესაბამება ჰეჯირების აღრიცხვას. ამასთან ერთად, მოხდა ეფექტურობის ტესტის გადახედვა და ჩანაცვლება „ეკონომიკური ურთიერთობების“ პრინციპით. ასევე, აღარ მოითხოვება ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტული შეფასება. ასევე, წარმოდგენილ იქნა საწარმოს რისკის მართვის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის უფრო სრულად წარდგენის მოთხოვნები.
- **ალიარების შეწყვეტა.** ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ალიარების შეწყვეტის მოთხოვნები გადმოტანილ იქნა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (IAS) 39-დან.

სტანდარტი ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან; დაშვებულია ადრეულად მიღებული განაცხადების განხილვა. საწარმოს მიერ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 9-ის შერჩეული მიდგომის გამოყენებამ შეიძლება სხვადასხვა მოთხოვნისთვის გამოიწვიოს ერთი ან ერთზე მეტი თავდაპირველი გამოყენების თარიღი.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 16 იჯარები. 2016 წლის იანვარში საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოსცა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 16. IFRS 16 ანაცვლებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტ (IAS) 17-ს - იჯარები, IFRIC 4 განსაზღვრავს, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას, SIC-15 საოპერაციო ლიზინგს - შეღავათებს და SIC-27 იჯარის სამართლებრივი ფორმის შემცველი ტრანზაქციების არსის შეფასებას.

ბუღალტრული ანგარიშგების წესები მეიჯარეთათვის მეტწილად უცვლელად იქნა გადმოტანილი ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (IAS) 17-დან. ეს ნიშნავს, რომ მეიჯარე აგრძელებს იჯარის კლასიფიცირებას, როგორც საოპერაციო ან ფინანსური. ძირითადი ცვლილებები მოიჯარეებისთვის განხორციელდა, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 16-ის მეშვეობით, რომელიც აყალიბებს მოიჯარეთათვის ცალკეულ მოდელს, რომელიც გამორიცხავს განსხვავებას ოპერაციულ და ფინანსურ იჯარებს შორის, და შედეგად აისახება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში, რომელიც ასახავს „სარგებლობის უფლების“ აქტივს და შესაბამის ვალდებულებას უმეტესობა საიჯარო კონტრაქტებზე. აქტივი შესაბამისად აღირიცხება, როგორც უძრავი ქონება, დანადგარები და აღჭურვილობა ან საინვესტიციო უძრავი ქონება, ხოლო ვალდებულება კი დაკორექტირებულია იჯარაში პირობითად დარიცხული საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუმცა, საწარმოებს გააჩნიათ ოფცია, არ შეიტანონ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოკლე-ვადიანი იჯარები (მაგალითად, ისინი, რომლებიც არის 12-თვიანი ან ნაკლებ ვადიანი) და დაბალი ღირებულების იჯარები.

შედეგად, მთავარი კითხვა იცვლება; არის თუ არა იჯარა საოპერაციო ან ფინანსური იჯარა მიმდინარე სახელმძღვანელო მითითებებით, თუ გარიგება უკავშირდება ელემენტებს, რაც პასუხობს იჯარის განსაზღვრებას. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 16-ის მოქმედების არეალი ფართოა, და ზოგი გარიგება შეიცავს აქტივების გამოყენების უფლებას, რას შესაძლოა განხილულ იქნას, როგორც მომსახურების კონტრაქტები (რომლებიც არის აღსრულებითი და არ აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში), შესაძლოა რეალურად მივიდეს იჯარამდე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 16-ის სფერო ფარგლების. შესაძლოა

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

მოთხოვნილ იქნას სისტემასა და პროცესებში მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება, ახალ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნებისათვის.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 16-ის გამოყენებამ შესაძლოა გამოიწვიოს ცვლილება ცვეთასა (საოპერაციო ხარჯების ფარგლებში) და საპროცენტო ხარჯში. იმ შემთხვევაში, თუ ცვეთა ირიცხება წრფივი მეთოდის საფუძველზე, მთლიანი დანახარჯი იქნება უფრო მაღალი იჯარის პირველ ნაწილში, შემდგომ პერიოდებთან შედარებით, რამდენადაც, საიჯარო ვალდებულება და დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი იქნება უფრო მაღალი.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 16 ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვარს, ადრეული განაცხადების მიღება იქნება დაშვებული, თუ, რა თქმა უნდა, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 15 იქნება ასევე მიღებული.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 15 (შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 9 (ფინანსური ინსტრუმენტები) და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 16 (იჯარები) ჯერ კიდევ შეფასების პროცესშია, რამდენადაც, ამ ახალ სტანდარტებს შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეთ ორგანიზაციის მომავალ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება

ძირითადი საბუღალტრო პოლიტიკა, რომელიც გამოიყენება ამ ფინანსურ ანგარიშგებაში, მოყვანილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენებოდა ყველა წარმოდგენილი წლის განმავლობაში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) ფინანსური აქტივები

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 39-ის შესაბამისად, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური აქტივი, ან სესხებად და მისაღებ ანგარიშებად, დაფარვის ვადამდე მფლობელობაში არსებულ ინვესტიციებად, ან გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად. ორგანიზაცია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.

მოგებასა ან ზარალში ასახული სამართლიანი ღირებულება

ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, ასახული მოგებასა და ზარალში, როდესაც ფინანსური აქტივი საწარმოს გააჩნია ვაჭრობის მიზნით ან ის განსაზღვრულია, როგორც სამართლიანი ღირებულება, ასახული მოგებასა და ზარალში. ისინი გაცხადებულია სამართლიანი ღირებულებით, ნებისმიერ შესაძლო მოგებასა ან ზარალთან ერთად, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მოგებასა ან ზარალში აღიარებული ხელახალი შეფასებისას.

ორგანიზაციას არ გააჩნია რაიმე აქტივები ვაჭრობის მიზნებისათვის, არც ნებაყოფლობით არ კლასიფიცირდება რაიმე ფინანსური აქტივები, რამდენადაც გააჩნია სამართლიანი ღირებულება, რომელიც ასახულია მოგებასა და ზარალში.

დაფარვის ვადამდე მფლობელობაში არსებული ინვესტიციები

არა-დერივატიული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით და გადახდის დადგენილი ვადებით კლასიფიცირდებიან, როგორც დაფარვის ვადამდე მფლობელობაში არსებული, იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაციას გააჩნია პოზიციტიური განზრახვა და უნარი, შეინარჩუნოს ის დაფარვის ვადის დადგომისას. ორგანიზაციას არ გააჩნია დაფარვის ვადამდე მფლობელობაში არსებული ინვესტიციები.

სესხები და მისაღები ანგარიშები

ეს აქტივები წარმოადგენს არა-დერივატულ ფინანსურ აქტივებს, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. მათი აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, დამატებული ოპრაციული ხარჯები, რომელიც უშუალოდ უკავშირდება მათ შეძენას ან გამოცემას და, შესაბამისად, აღირიცხება ამორტიზირებულ ხარჯში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გამოკლებული გაუფასურების უზრუნველყოფა.

გაყიდვაში

არა-დერივატიული ფინანსური აქტივები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ზემოთ მოცემულ კატეგორიებში, კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად არსებული აქტივები და ძირითადად წარმოადგენს ორგანიზაციის სტრატეგიულ ინვესტიციებს იმ საწარმოებში, რომლებიც არ კვალიფიცირდებიან, როგორც შვილობილები, ასოცირებული ან ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოები, ასევე, როგორც კორპორატიული ობლიგაციები. ისინი აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, სამართლიან ღირებულებაში ცვლილებების გათვალისწინებით, რომელიც ზოგადად აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში და აკუმულირდება გაყიდვისთვის არსებულ რეზერვების ნაწილში; ხოლო სადაც ადგილი აქვს ხანგრძლივ გადახრას/შემცირებას გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივის სამართლიან ღირებულებაში (რაც წარმოადგენს გაუფასურების ობიექტურ მტკიცებულებას), გაუფასურების სრული ოდენობა, სხვა სრულ შემოსავალში ადრე აღიარებული ნებისმიერი თანხის ჩათვლით, აღიარებულია მოგებასა ან ზარალში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივის შესყიდვები და გაყიდვები აღიარებულია ანგარიშსწორების თარიღში სამართლიან ღირებულებაში ნებისმიერი ცვლილების გათვალისწინებით, სავაჭრო თარიღსა და ანგარიშსწორების თარიღს შორის პერიოდზე, რომელიც აღიარებულია გასაყიდად არსებული რეზერვების ნაწილში. გაყიდვაში არსებული, კუმულატიური მოგება ან ზარალი, რომელიც აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, რეკლასიფიცირდება გასაყიდად არსებულ რეზერვების ნაწილში, მოგებასა ან ზარალში. ორგანიზაციას არ გააჩნია რაიმე აქტივი, რომელიც კლასიფიცირდება, როგორც გაყიდვაში არშეზღუდული.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ორგანიზაცია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას იმ შემთხვევაში, როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია ან აქტივებიდან ფულად ნაკადებზე უფლებები სხვაგვარად ამოიწურა, ან (ბ) ორგანიზაციამ სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულად ნაკადებზე (შემოსულობებზე) უფლებები ან დადო გარიგება მეორადი ფასიანი ქაღალდების გამოყენებით, ამასთან საწარმო (i) ასევე არსებითად გადასცემს აქტივების საკუთრების ყველა რისკს და სარგებელს, ან (ii) არც გადასცემს და არც არსებითად ინარჩუნებს საკუთრების ყველა რისკსა და სარგებელს, მაგრამ არ ინარჩუნებს კონტროლს. კონტროლის შენარჩუნება ხდება იმ შემთხვევაში, თუ კონტრაგენტს არ გააჩნია პრაქტიკული შესაძლებლობა, მთლიანად გაყიდოს აქტივი არა-დაკავშირებულ მესამე მხარეზე, გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაკისრების საჭიროების გარეშე.

(ბ) ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც ორგანიზაციის და კლიენტების ანგარიშებზე გადასახდელი თანხები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით, მინუს ტრანზაქციის ხარჯები. ფინანსური ვალდებულებები შესაბამისად ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რეალური შემოსავლის საფუძველზე აღიარებული საპროცენტო ხარჯით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს შესაბამისი პერიოდის განმავლობაში ფინანსური ვალდებულების და საპროცენტო ხარჯების გამოყოფის ამორტიზირებული ხარჯის კალკულაციის მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს სავარაუდო

შედეგად ფულადი ნაკადების (შემოსავლების) დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების სავარაუდო პერიოდზე, ან (სადაც შეესაბამება) უფრო მოკლე პერიოდზე წმინდა საბალანსო ღირებულებას პირველად აღიარებულ სიდიდემდე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ორგანიზაცია წყვეტს ფინანსური ვალდებულებების აღიარებას მაშინ, როდესაც ორგანიზაციის ვალდებულებები იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას დღის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის აღიარება შეწყვეტილია და კომპენსაცია გადახდილია, შესაბამისად, ვალდებულებები აღიარებულია მოგებასა და ზარალში.

(გ) ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთჩათვლელა და წმინდა თანხა აისახება საბალანსო უწყობში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლის იურიდიული უფლება და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

(დ) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 13 სამართლიანი ღირებულების შეფასების იერარქია

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 13 მოითხოვს ინფორმაციის გამჟღავნებას, რაც, ამასთან, მოითხოვს სამართლიანი ღირებულების იერარქიის გამოყენებით სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას, რომელიც ასახავს სამართლიანი ღირებულების შეფასების პროცესში გამოყენებული საშუალებების მნიშვნელობას. სამართლიანი ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

- ანალოგიური აქტივებისა და ვალდებულებების კოტირებული (არაკორექტირებული) ფასები მოქმედ ბაზარზე (დონე 1);
- ამოსავალი მონაცემები, გარდა კოტირებული ფასებისა, რომელიც შედის დონე 1-ში, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აქტივებზე ან ვალდებულებებზე ან პირდაპირი (მაგალითად, როგორც ფასები) ან არაპირდაპირი (მაგალითად, ფასებიდან მიღებული) გზით (დონე 2); და
- აქტივზე ან ვალდებულებაზე ამოსავალი მონაცემები, რომლების არ ეყრდნობიან საბაზრო მონაცემებს (არასაბაზრო მონაცემები) (დონე 3).

სამართლიანი ღირებულების იერარქიაში, ის დონე, რომლის ფარგლებშიც კატეგორიზდება ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება, განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის საშუალების საფუძველზე, რაც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდებიან მთლიანობაში სამი დონიდან მხოლოდ ერთში.

ორგანიზაციას არ გააჩნია სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები ან ვალდებულებები; შესაბამისად, ისინი არ არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტ (IFRS) 7-ში - სამართლიანი ღირებულების შეფასების იერარქია.

(ე) ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები

ფულასურებით გამოწვეული ზარალი აღიარებულია მოგებასა ან ზარალში, როდესაც ის წარმოიშვა ერთი ან მეტი მოვლენის („ზარალის დადგომის შემთხვევა“) შედეგად, რომელიც წარმოიშვა ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარების შემდგომ და რომელსაც აქვს გავლენა იმ ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის საგარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების თანხაზე ან ამ ნაკადების დროზე, რომელიც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს. ძირითადი ფაქტორები, რომლებიც ორგანიზაციამ უნდა გაითვალისწინოს ფინანსური აქტივების გაუფასურებისას, არის მისი დაგეგმადილებული სტატუსი და დაკავშირებული გირაოს რეალიზებადობა, თუ ასეთი არსებობს.

შემდგომი სხვა ძირითადი კრიტერიუმები ასევე გამოიყენება იმის განსაზღვრისთვის, არსებობს თუ არა გაუფასურებით გამოწვეული ზარალის წარმოშობის ობიექტური მტკიცებულება:

- ნებისმიერი შენატანი არის ვადაგადაცილებული და დაგვიანებით მიღებული გადახდა არ შეიძლება მიეკუთვნოს ანგარიშსწორების სისტემებით გამოწვეულ გადავადებას;
- მსესხებელი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, რასაც ადასტურებს მსესხებლის ფინანსური ინფორმაცია, რომელსაც ორგანიზაცია მოიპოვებს;
- მსესხებელი განიხილავს, როგორც გაკოტრებას ან ფინანსურ რეორგანიზაციას;
- არსებობს ნეგატიური ცვლილება მსესხებლის გადახდის მდგომარეობასთან დაკავშირებით, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების ცვლილებების შედეგად, რომლებიც გავლენას ახდენენ მსესხებელზე;
- გირაოს ღირებულება საგრძნობლად მცირდება საბაზრო პირობების გაუარესების შედეგად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

ფუფასურების გამოთვლა ხდება აქტივების ანალიზის საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს რისკის საფასურს და ასახავს საკმარის თანხას, მენეჯმენტის აზრით, შესაბამისი დანაკარგების დასაფარად.

რეზერვები იქმნება აქტივების ინდივიდუალური შეფასების შედეგად, რომელიც წარმოადგენს რისკის საფასურს მატერიალურად ინდივიდუალურ ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში, ან მატერიალურად არა-ინდივიდუალური ფინანსური აქტივების ინდივიდუალური ან ერთობლივი შეფასების საფუძველზე. გაუფასურების კოლექტიური შეფასების მიზნებისათვის, ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე.

ფინანსური აქტივების ჯგუფში მომავალი ფულადი სახსრები, რომლებიც კოლექტიურად შეფასებულია გაუფასურებაზე, შეფასებულია საკმარისი ისტორიული დანაკარგის გამოცდილებისა და ვადაგადაცდილებული თანხების დაფარვის წარმატების საფუძველზე. ისტორიული გამოცდილება მორგებულია მიმდინარე შემოწმებადი მონაცემების საფუძველზე, რათა მოხდეს მიმდინარე პირობების ზემოქმედებების ასახვა, რომელიც არ ახდენს გავლენას გასული პერიოდებზე, ასევე, წარსულის პერიოდების იმ პირობების შედეგების ამოღება, რომლებიც ამჟამად აღარ ფიქსირდება. თუ, ამორტიზირებული ღირებულებით არსებული გაუფასურებული ფინანსური აქტივების პირობები წარმოადგენს ხელახალი მოლაპარაკების საგან ან, სხვაგვარად, მოდიფიცირებულია მსესხებლის ან ემიტენტის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურების შეფასება ხდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით პირობების მოდიფიკაციამდე.

ფუფასურებით გამოწვეული ზარალი ყოველთვის აღიარებულია რეზერვის ანგარიშის საშუალებით, აქტივების საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ამჟამინდელ ღირებულებამდე (რაც გამორიცხავს სამომავლო საკრედიტო დანაკარგებს, რომლებიც არ წარმოშობილა) შემცირების მიზნებისათვის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივების სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება ასახავს ფულად ნაკადებს, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას დაგირავებული ქონების მგირავებელთან გადასვლის პროცესში

გაწეული ხარჯებით, მიუხედავად იმისა, არის თუ არა მოსალოდნელი გირაოს მგირავებელისთვის გადაცემა.

ნაღდი ფული და ფულის ექვივალენტი

ნაღდი ფული და ფულის ექვივალენტები წარმოადგენს ისეთ საგანს, რომლებიც ადვილად კონვერტირებადია ნაღდი ფულის ცნობილი ოდენობით და რომელიც ექვემდებარება ღირებულების ცვლილებების უმნიშვნელო რისკს. ნაღდი ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს განკარგულებაში არსებულ ფულად სახსრებს, ასევე, ყველა საბანკო ინვესტიციას ან მისაღებ თანხებს სამ თვეზე ნაკლები დაფარვის ვადით. თავდაპირველად სამ თვეზე მეტი პერიოდით შეზღუდული სახსრები გამოირიცხება ფულადი სახსრებიდან და მათი ექვივალენტებიდან.

უძრავი ქონება და აღჭურვილობა

უძრავი ქონება, აღჭურვილობა და არამატერიალური აქტივები აღირიცხება თავდაპირველი ისტორიული ღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და აღიარებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალი, თუ ასეთი არსებობს. ცვეთა აისახება ქონების, აღჭურვილობის და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებით და იქმნება აქტივების ჩამოსაწერად აქტივების სასარგებლო ეკონომიკური ვადის განმავლობაში. ცვეთის გაანგარიშება ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით 5 წლის პერიოდზე გადაანგარიშებით.

უძრავი ქონებისა და აღჭურვილობის საბალანსო ღირებულება განიხილება ყოველ საანგარიშო თარიღზე იმის შესაფასებლად, აღირიცხება თუ არა ისინი ანაზღაურებადი თანხების ნამეტი

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

ოდენობით. ანაზღაურებადი თანხა უფრო მაღალია, ვიდრე სამართლიანი ღირებულება, მინუს გაყიდვის ხარჯები და გამოყენების ღირებულება.

საწესდებო კაპიტალი და დივიდენდები

კაპიტალი მოიცავს საწესდებო კაპიტალს და გადაუნაწილებელ მოგებას. დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც ისინი დეკლარირდება. საანგარიშო პერიოდის დასრულებისა და ფინანსური ანგარიშგების პერიოდამდე დეკლარირებული ნებისმიერი დივიდენდის შემთხვევაში მათი გაცემა ავტორიზებულია, რაც უნდა აისახოს შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებებში.

რეზერვები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

რეზერვი წარმოადგენს გაურკვეველი ვადის ან თანხის ვალდებულებას. ვალდებულება წარმოადგენს საწარმოს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოშობილია წარსულში მომხდარი მოვლენებით, რომელთა შესრულების შედეგად მოსალოდნელია საწარმოდან ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება. ვალდებულებითი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც ქმნის სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რომლის შედეგადაც საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის რეალური ალტერნატივა. სამართლებრივი ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს შემდეგიდან:

- ხელშეკრულება (თავისი აშკარა ან დაფარული პირობებით);
- კანონმდებლობა; ან
- სხვა კანონის მოქმედება.

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც გამომდინარეობს საწარმოს მოქმედებებიდან, როდესაც:

- წარსული პრაქტიკით დამკვიდრებული პრინციპების, გამოქვეყნებული პოლიტიკის ან საკმარისად კონკრეტული ხასიათის მიმდინარე განაცხადის შესაბამისად, საწარმომ მიუთითა სხვა მხარეებს, რომ ის თავის თავზე აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს;
- და
- შედეგად, საწარმომ შექმნა ვალდებური მოლოდინი იმ სხვა მხარეთა ნაწილში, რომლითაც ის იღებს ამ ვალდებულებებს.

ტერმინი „პირობითი ვალდებულება“ გამოიყენება იმ ვალდებულებებთან მიმართებაში, რომლებიც არ პასუხობენ აღიარების კრიტერიუმებს. სააღრიცხვო პოლიტიკა შეიძლება შემდეგნაირად განვასხვავოთ:

- რეზერვები - რომლებიც აღიარებულია, როგორც ვალდებულებები (იმ ვარაუდით, რომ საიმედოდ შეფასება შეიძლება გაკეთდეს), რადგანაც ისინი წარმოადგენს მიმდინარე ვალდებულებებს და სავარაუდოა, რომ ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება საჭირო იქნება ვალდებულებების დასარეგულირებლად; და
- პირობითი ვალდებულებები - რომლებიც არ არის აღიარებული, როგორც ვალდებულებები, რადგანაც ისინი წარმოადგენენ:
 - შესაძლო ვალდებულებებს, რადგანაც ჯერ კიდევ არ არის დადასტურებული, აქვს თუ არა საწარმოს მიმდინარე ვალდებულება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება; ან
 - მიმდინარე ვალდებულებებს, რომლებიც არ პასუხობენ აღიარების კრიტერიუმებს ამ სტანდარტში (რადგანაც ან არ არსებობს ვარაუდი, რომ ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება საჭირო იქნება ვალდებულებების დასარეგულირებლად, ან შეიძლება ვერ მოხდეს ვალდებულების მოცულობის საკმარისად საიმედოდ შეფასება).

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

პირობითი ვალდებულებები არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება სავარაუდოდ წარმოიშობა და ამგვარი ვალდებულებების მოცულობა შესაძლოა საიმედოდ შეფასდეს. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია ასახულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება სავარაუდოა.

პირობითი ვალდებულებები შესაძლოა განვითარდეს ისე, როგორც ეს თავდაპირველად არ იყო მოსალოდნელი. ამიტომაც, ხდება მათი მუდმივად შეფასება იმის დასადგენად, რამდენად სავარაუდოა ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება. იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდო ხდება, რომ ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება საჭირო გახდება იმ საგნისთვის, რომელიც ადრე იყო განხილული, როგორც პირობითი ვალდებულება, მაშინ რეზერვი აღიარებულია იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელშიც წარმოიშობა ალბათობის ცვლილება (გარდა უკიდურესად იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც საიმედოდ შეფასება არ შეიძლება გაკეთდეს).

პირობითი აქტივები არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში, მაგრამ ინფორმაცია მათ შესახებ მოცემულია იმ შემთხვევაში, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების შემოძინება შესაძლებელია. თუ ეკონომიკური სარგებელი ნამდვილად წარმოიშობა, აქტივი და დაკავშირებული შემოსავალი აღიარებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წლის განმავლობაში, როდესაც ცვლილებას შეფასებაში ჰქონდა ადგილი.

დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი წლის განმავლობაში მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. გადასახადი აღიარებულია სრული შემოსავლის განაცხადში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი დაკავშირებულია სხვა სრულ შემოსავალში ან უშუალოდ სააქციო კაპიტალში აღიარებულ საგანთან. ამ შემთხვევაში, გადასახადი ასევე აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში ან, შესაბამისად, უშუალოდ სააქციო კაპიტალში.

მიმდინარე საშემოსავლო გადასახადის გამოთვლა ხდება საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე, რომელიც მოქმედებს ან არსებითად ამოქმედდა ბალანსის შედგენის თარიღზე საქართველოში და წარმოშობს დაბეგრვად შემოსავალს. მენეჯმენტი პერიოდულად აფასებს საგადასახადო დეკლარაციებში არსებულ პოზიციებს იმ სიტუაციებთან მიმართებაში, როდესაც მოქმედი საგადასახადო რეგულაცია წარმოადგენს ინტერპრეტაციის საგანს. საჭიროების შემთხვევაში, ის ადგენს რეზერვებს საგადასახადო ორგანოებისთვის სავარაუდოდ გადასახდელი თანხების შესაბამისად.

ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით, გადავადებული საშემოსავლო გადასახადის აღიარება ხდება იმ დროებითი სხვაობების საფუძველზე, რომლებიც წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის ფინანსურ ანგარიშებში. თუმცა, გადავადებული საშემოსავლო გადასახადი არ აღირიცხება, თუ ის წარმოშობილია ტრანზაქციაში აქტივისა ან ვალდებულების თავდაპირველი აღიარებიდან, გარდა ბიზნეს კომბინაციისა, როდესაც ტრანზაქციის დროს გავლენას არ ახდენს არც ბუღალტრულ აღრიცხვაზე და არც დასაბეგრ მოგებასა და ზარალზე. გადავადებული საშემოსავლო გადასახადი განისაზღვრება საგადასახადო განაკვეთის (და კანონების) გამოყენებით, რომელიც ამოქმედდა ან არსებითად ამოქმედდა ბალანსის მომზადების თარიღისათვის და სავარაუდოდ გამოიყენება, როდესაც ხდება დაკავშირებული გადავადებული საშემოსავლო გადასახადის აქტივის რეალიზება ან გადავადებული საშემოსავლო გადასახადი დაფარულია.

გადავადებული საშემოსავლო გადასახადის აქტივები აღიარებულია მხოლოდ იმ მიმართებით, თუ სავარაუდოა, რომ მომავალი დასაბეგრი მოგება ხელმისაწვდომი იქნება, რომლის დროსაც შეიძლება

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

გამოყენებულ იქნეს დროებითი განსხვავებები. გადავადებული საშემოსავლო გადასახადის აქტივები და ვალდებულებები გამოიქვითება, როდესაც არსებობს კანონიერი აღსრულების უფლება, გამოიქვითოს მიმდინარე საგადასახადო აქტივები მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების წინააღმდეგ, და როდესაც გადავადებული საშემოსავლო გადასახადის აქტივები და ვალდებულებები ეხება საშემოსავლო გადასახადს, და იბეგრება იმავე საგადასახადო ორგანოს მიერ და როდესაც არსებობს ნაშთების ნეტოს საფუძველზე დაფარვის განზრახვა.

საპროცენტო შემოსავლის და ხარჯების აღიარება

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღრიცხულია ყველა სავალ ინსტრუმენტზე, დარიცხვის მეთოდით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ამ მეთოდით, როგორც საპროცენტო შემოსავლის ან ხარჯის ნაწილი, ხდება ყველა გადახდილი ან მიღებული გადასახდელის გადავადება, ხელშეკრულების მხარეებს შორის, რაც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, საოპერაციო ხარჯებისა და ყველა სხვა პრემიუმებისა თუ დისკონტების განუყოფელ ნაწილს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი საკომისიო მოიცავს საწარმოს მიერ მიღებულ ან გადახდილ სესხის გაცემის საკომისიოს, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შექმნასთან ან შეძენასთან ან ფინანსური ვალდებულების გაცემასთან, მაგალითად, კრედიტუნარიანობის შეფასების ხარჯი, გარანტიების ან გირაოს შეფასება და აღრიცხვა, ინსტრუმენტების პირობების განხილვა და ტრანზაქციის დოკუმენტების დამუშავება. საბაზრო საპროცენტო განაკვეთით სესხის გაცემის პროცესის დაწყების მიზნით, ორგანიზაციის მიერ მიღებული სავალდებულო გადასახადი (საკომისიო) წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, თუ

ორგანიზაცია შედის კონკრეტულ სასესხო გარიგებაში და არ არსებობს იმის მოლოდინი, რომ მისი გაცემიდან მოკლე ვადაში მოხდება შედეგად მიღებული სესხის გაყიდვა

როდესაც სესხები და სხვა სავალ ინსტრუმენტების ამოღება ხდება საექვო, ისინი აღირიცხება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ნარჩენი ღირებულებით და საპროცენტო შემოსავალი ამის შემდეგ აღირიცხება დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებით აქტივების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე, რომელიც გამოყენებულ იქნა გაუფასურებით გამოწვეული ზარალის შეფასებისათვის.

ყველა სხვა დანარჩენი მოსაკრებლები, საკომისიოები და სხვა საშემოსავლო და ხარჯების ნაწილი ზოგადად აღირიცხება დარიცხვის მეთოდით, კონკრეტული გარიგების დასრულების მითითებით, და ფასდება ფაქტობრივი მომსახურების საფუძველზე იმ პირობით, რომ უზრუნველყოფილი იქნება მთლიანი მომსახურების პროპორციულად.

მოლაპარაკებებით, ან ტრანზაქციის მოლაპარაკებებში მონაწილეობით მესამე მხარესთან მიმართებაში წარმოშობილი საკომისიო გადასახადები და მოსაკრებლები, როგორებიცაა სესხების, აქციების ან სხვა ფასიანი ქაღალდების შეძენა ან ბიზნესის შესყიდვა ან გაყიდვა, რომლებიც მიიღება ძირითადი გარიგების აღსრულებიდან, აღირიცხება მისი დასრულებისას.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ნაწილში, თუ წარმოიქმნება მომავალი ეკონომიკური მოგების ნებისმიერი შემცირება, რომელიც უკავშირდება აქტივის შემცირებას ან ვალდებულების გაზრდას, რომელიც შესაძლოა საიმედოდ შეფასდეს.

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის განაცხადში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯები მომავალში მეტად აღარ გამოიწვევს ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან წყვეტს აღიარების მოთხოვნების დაკმაყოფილებას, როგორც საბალანსო უწყისის აქტივი.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

საოპერაციო იჯარა

იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაცია წარმოადგენს მოიჯარეს, იჯარაში, რომელიც არ ითვალისწინებს მეიჯარიდან ორგანიზაციაზე იჯარასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებელის ორგანიზაციისთვის გადაცემას, საერთო საიჯარო გადასახადები აღირიცხება მოგებას ან ზარალში წლის განმავლობაში იჯარის ვადის განმავლობაში. იჯარის ვადა არის არა-გაუქმებადი პერიოდი, რომლისთვისაც მოიჯარემ აიღო ვალდებულება იჯარით აიღოს აქტივი სხვა შემდგომი პირობების გათვალისწინებით, რომლისთვისაც მოიჯარეს აქვს აქტივის იჯარის გაგრძელების ოფცია, გადახდით ან გადახდის გარეშე, როდესაც იჯარის დაწყების პერიოდში გონივრულად ნათელია, რომ მოიჯარე გამოიყენებს ოფციას.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ანაზღაურება, ხელფასები, ბონუსები და არა-ფულადი ბენეფიტები წარმოიშობა იმ წელს, როდესაც ორგანიზაციის თანამშრომლები უზრუნველყოფენ ასოცირებულ სერვისებს.

ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები და ის მოვლენები, რომლებიც ჩატარდა ფინანსური ანგარიშგების თარიღამდე, რაც უზრუნველყოფს დამატებით ინფორმაციას ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების შესახებ, გაცხადებულია ფინანსურ ანგარიშგებში. ანგარიშგების თარიღის შემდგომი ღონისძიებები, რომელთაც არ აქვთ გავლენა ორგანიზაციის ფინანსურ პოზიციაზე საბალანსო უწყისის მომზადების თარიღისათვის, აღრიცხულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებებში.

უცხოური ვალუტის გადაანგარიშება

ფინანსურ ანგარიშში შეტანილი საკითხები შეფასებულია იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტის გამოყენებით, რომელშიც ახორციელებს ოპერაციებს („ფუნქციონალური ვალუტა“) ორგანიზაცია. ფინანსური ანგარიშები წარმოდგენილია ქართულ ლარში (GEL), რომელიც წარმოადგენს ორგანიზაციის ოპერირებისა და წარმოდგენლობით ვალუტას.

მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაანგარიშებულია ორგანიზაციის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის მოგება და ზარალი, რომელიც გამოწვეულია ტრანზაქციების განხორციელების და მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების ტრანზაქციების შედეგად ორგანიზაციის ფუნქციონალურ ვალუტაში წლის ბოლოს ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ გამოიყენება არა-მონეტარულ აქტივებზე, სააქციონერო ინვესტიციების ჩათვლით. სავალუტო გაცვლის კურსის ცვლილებების გავლენა საწარმოო ფასიანი ქაღალდების სამართლიან ღირებულებაზე აღრიცხულია, როგორც მოგებისა ან ზარალის სამართლიანი ღირებულების ნაწილი.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის კურსებს 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	აშშ დოლ / ლარი
ვალუტის კურსი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.5922
ვალუტის კურსი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.6468

4. კრიტიკული ბუღალტრული შეფასებები და მსჯელობები

ორგანიზაცია აკეთებს გარკვეულ შეფასებებს და დაშვებებს მომავალთან დაკავშირებით. შეფასებები და დასკვნები მუდმივად ფასდება ისტორიულ გამოცდილებაზე და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მომავალი ღონისძიებების მოლოდინების ჩათვლით, რომლებიც, სარწმუნოა, რომ იქნება გონივრული, არსებული პირობების გათვალისწინებით. მომავალში, რეალურმა გამოცდილებამ შესაძლოა აჩვენოს განსხვავებული შეფასებები და ვარაუდები. შეფასებები და ვარაუდები, რომელთაც გააჩნიათ მნიშვნელოვანი რისკი, გამოიწვიოს მატერიალური შესწორებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში, მოცემულია ქვემოთ.

სესხების და მისაღები თანხების გაუფასურების რეზერვები

ორგანიზაცია რეგულარულად მიმოიხილავს თავის სასესხო პორტფელს, გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის. იმის განსაზღვრა, აღირიცხოს თუ არა გაუფასურების ზარალი მოგებისა და ზარალის უწყისში, ორგანიზაცია მსჯელობს, არსებობს თუ არა შემოწმებადი მონაცემები, რომლებიც აჩვენებს, რომ არსებობს გაზომვადი შემცირება სავარაუდო მომავალ ფულად ნაკადებში სესხების პორტფელიდან შემცირებამდე, რაც შეიძლება იდენტიფიცირებულ იქნას ინდივიდუალურ სესხად ამ პორტფელში. ეს მტკიცებულება შესაძლოა შეიცავდეს შემოწმებად მონაცემებს, რომელიც აჩვენებს, რომ ადგილი ჰქონდა ნეგატიურ ცვლილებას მსესხებლების დაფარვის სტატუსში, ან არსებობდა ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური გარემოებები, რომელსაც შეესატყვისება ორგანიზაციაში აქტივებთან დაკავშირებული დეფოლტები. თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ წარმოიშვა გაუფასურების ზარალი სესხებზე ან მისაღებ თანხებზე, ზარალის ოდენობა ფასდება, როგორც სხვაობა სესხის საბალანსო ღირებულებასა ან მისაღებ თანხებს და სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, გირაოდან დაფარვადი თანხების ჩათვლით, რომელიც დისკონტირებულია სესხისა თუ მისაღები თანხების თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთამდე. მეთოდოლოგია და ვარაუდები, რომლებიც გამოიყენება მომავალი ფულადი ნაკადების როგორც მოცულობის, ისე ვადის შეფასებისათვის, რეგულარულად წარმოადგენს მიმოხილვის საგანს, ზარალის შეფასებებისა და რეალური ზარალის პრაქტიკას შორის ნებისმიერი სხვაობის შემცირების მიზნებისათვის.

საშემოსავლო გადასახადი

ბიზნესის ჩვეულ რეჟიმში მიმდინარეობის პირობებში, არსებობს მრავალი გარიგება და გაანგარიშებები, რომელთათვისაც საბოლოო გადასახადის განსაზღვრა გაურკვეველია. შესაბამისად, ორგანიზაცია საგადასახადო ვალდებულებებს აღიარებს იმის მიხედვით, განსაზღვრულია თუ არა (დაანგარიშების საფუძველზე) დამატებითი პროცენტისა და გადასახადების დაფარვა შესაბამის ვადაში. ამ საგადასახადო ვალდებულებების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც, მიუხედავად ორგანიზაციის რწმენისა, რომ მისი საგადასახადო დეკლარაციის პოზიციები სათანადოა, ორგანიზაციას სჯერა, რომ გარკვეული პოზიციები შესაძლოა ისევ არ იყოს სრულყოფილი და შესაძლოა არ შენარჩუნდეს სრულად საგადასახადო ორგანოების მიერ ჩატარებული განხილვის შემდგომ. შედეგად, ორგანიზაცია მინიმუმამდე ამცირებს ამ ფაქტთან დაკავშირებულ რისკებს. ორგანიზაციას სჯერა, რომ მისი საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა არის ადექვატური ყველა ღია აუდიტის წლისათვის, მრავალი ფაქტორის შეფასებაზე დაყრდნობით, წარსული გამოცდილებისა და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციის გათვალისწინებით. ეს შეფასება ეფუძნება შეფასებებსა და მოსაზრებებს და შესაძლოა ითვალისწინებდეს კომპლექსური გადაწყვეტილებების სერიას მომავალ ღონისძიებებთან დაკავშირებით.

5. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2017 წლის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაერად არის წარმოდგენილი:

	31 დეკემბერი, 2017 წ.	31 დეკემბერი, 2016 წ.
ნაღდი ფული სალაროში	31,625	-
ნაღდი ფული ბანკში	386,100	604,635
ნაღდი ფული ტრანზიტში	4,959	-
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	422,684	604,635

ფული და ფულის ექვივალენტების განაწილება ვალუტის მიხედვით წარმოდგენილია განმარტება 14-ში.

6. კლიენტებზე გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხები 2017 წლის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაერად არის წარმოდგენილი:

	31 დეკემბერი, 2017 წ.	31 დეკემბერი, 2016 წ.
კლიენტებზე გაცემული სესხები	1,793,459	286,312
დარიცხული პროცენტი	49,208	4,752
კლიენტებზე გაცემული მთლიანი სესხები	1,842,667	291,064
მინუს: გაუფასურებით გამოწვეული ზარალის რეზერვი*	-	(5,727)
კლიენტებზე გაცემული წმინდა სესხები	1,842,667	285,337

*როგორც ქვემოთ მოცემულ ცხრილშია წარმოდგენილი, კლიენტებზე გაცემული ყველა სესხი უზრუნველყოფილია მანქანებით ან უძრავი ქონებით. მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ გირაოს სამართლიანი ღირებულება, რომლის შეფასებაც მოხდა სესხის პროექტის საწყის ფაზაში, ყოველთვის აჭარბებს შესაბამისად უზრუნველყოფილი სესხების საბალანსო ღირებულებას 2017 წლის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაუფასურებით გამოწვეული ზარალის რეზერვი არ იქნა აღიარებული სესხების საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის არსებული პოზიტიური სხვაობის გამო, რაც მოიცავს გირაოს საშუალებით დაფარვად თანხებს, რომლებიც დისკონტირებულია სესხისა თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთამდე. მენეჯმენტი არ მოელის რაიმე შესაძლო ნეგატიურ მოძრაობებს საბაზრო ფასებში, შესაბამისად, სესხების ამოღების ხარისხზე მნიშვნელოვან გავლენას არ ექნება ადგილი.

შემდეგი ცხრილი წარმოადგენს ინფორმაციას მანქანებითა და უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ კლიენტებზე გაცემულ სესხებზე, 2017 წლის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაზე
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

6. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

	31 დეკემბერი, 2017წ.		31 დეკემბერი, 2016წ.	
	მანქანები	უძრავი ქონება	მანქანები	უძრავი ქონება
კლიენტებზე გაცემული მთლიანი სესხები	1,829,649	13,018	268,137	17,200

შემდეგი ცხრილი წარმოადგენს ინფორმაციას ვადაგადაცილებული სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2017 წლის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31 დეკემბერი, 2017წ.	31 დეკემბერი, 2016წ.
კლიენტებზე გაცემული სესხები ხელშეკრულების მიხედვით		
მიმდინარე	1,524,854	282,180
30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	244,924	8,884
30-დან 60 დღემდე ვადაგადაცილება	17,307	-
60 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	55,582	-
კლიენტებზე გაცემული მთლიანი სესხები	1,842,667	291,064
მინუს: გაუფასურებით გამოწვეული ზარალის რეზერვი	-	(5,727)
კლიენტებზე გაცემული წმინდა სესხები	1,842,667	285,337

7. უძრავი ქონება და აღჭურვილობა

უძრავი ქონება და აღჭურვილობა 2017 წლის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

ისტორიული ხარჯი	კომპიუტერები და სხვა ტექნიკური აღჭურვილობა	ოჯარით აღებული საკუთრების გაუმჯობესება	ავეჯი და მოწყობილობა	მანქანები	სხვა	სულ
2016 წლის 1 იან	9,194	-	-	-	-	9,194
დამატებით შეძენილი	96,240	75,337	42,335	41,239	16,464	271,615
2016 წლის 31 დეკ	105,434	75,337	42,335	41,239	16,464	280,809
დამატებით შეძენილი	3,523	-	4,400	-	9,490	17,413
2017 წლის 31 დეკ	108,957	75,337	46,735	41,239	25,954	298,222

აკუმულირებული ცვეთა

2016 წლის 1 იან	-	-	-	-	-	-
ცვეთის დარიცხვა	(13,700)	(10,089)	(4,820)	(7,691)	(2,260)	(38,560)
2016 წლის 31 დეკ	(13,700)	(10,089)	(4,820)	(7,691)	(2,260)	(38,560)
ცვეთის დარიცხვა	(18,503)	(15,067)	(8,553)	(8,248)	(6,508)	(56,879)
2017 წლის 31 დეკ	(32,203)	(25,156)	(13,373)	(15,939)	(8,768)	(95,439)

ნარჩენი საბალანსო ღირებულება

2016 წლის 31 დეკ	91,734	65,248	37,515	33,548	14,204	242,249
2017 წლის 31 დეკ	76,754	50,181	33,362	25,300	17,186	202,783

8. დაბეგვრა

დროებითი სხვაობების მოძრაობაზე გადასახადის გავლენა, რომელიც აღრიცხულია 15%-ით, არის შემდეგი:

დროებითი სხვაობები 15%-ზე შემდეგი მიზეზებით:	ნაშთი 2015 წ. 31 დეკემბერს	დაკრედიტდა (აღირცხა) მოგება-ზარალის ანგარიშში 2016წ.	ნაშთი 2016 წ. 31 დეკემბერს	დაკრედიტდა (აღირცხა) მოგება-ზარალის ანგარიშში 2017წ.	ნაშთი 2017 წ. 31 დეკემბერს
კლიენტებზე გაცემული სესხები	-	859	859	(859)	-
უძრავი ქონება და აღჭურვილობა	-	(2,075)	(2,075)	2,075	-
ნასესხები სახსრები	-	2,461	2,461	(719)	1,742
საგადასახადო ზარალის გადატანა შემდგომ პერიოდზე	3,462	130,476	133,938	113,761	247,699
სულ დროებითი სხვაობები	3,462	131,721	135,183	114,258	249,441
არა-აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივები					
საგადასახადო ზარალის გადატანა შემდგომ პერიოდზე	-	-	-	(247,699)	(247,699)
გადავადებული საგადასახადო აქტივი	3,462	131,721	135,183	(133,441)	1,742

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, საშემოსავლო გადასახადის კალკულაციის ახალი მოდელი ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან. ახალი საგადასახადო სისტემის სპეციფიური ხასიათის გამო, აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და საგადასახადო ბაზას შორის არ არსებობს ისეთი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივები ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები. თუმცა, წინა წლის გადავადებული საგადასახადო აქტივები / ვალდებულებები სრულად იქნებოდა ჩამოწერილი / დაფარული შემდეგი ფინანსური წლის ბოლოსათვის.

ზემოთ ხსენებულის გამო, გადავადებული საგადასახადო აქტივები არ იქნა აღიარებული გადატანილ საგადასახადო ზარალთან მიმართებაში, რაც წარმოშობს გადავადებულ საგადასახადო აქტივებს, რადგან მენეჯმენტის რწმენით, ნაკლებად სავარაუდოა ამ აქტივების შემდეგი წლის განმავლობაში ამოღება (დაფარვა).

საშემოსავლო გადასახადის ხარჯი 2017 წლის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს შემდეგს:

	2017წ.	2016წ.
მიმდინარე საშემოსავლო გადასახადი	-	-
დროებითი სხვაობების გავლენა	(133,441)	131,721
საშემოსავლო გადასახადის სარგებელი/(ხარჯი)	(133,441)	131,721

დადგენილი ფაქტობრივი განაკვეთის გათვალისწინებით საშემოსავლო გადასახადის ხარჯის შედარება შემდეგია:

	2017	2016
ზარალი საშემოსავლო გადასახადამდე	(757,843)	(913,051)
მოქმედი საგადასახადო განაკვეთი	15%	15%
თეორიული საშემოსავლო გადასახადის სარგებელი	113,676	136,958
არა-აღიარებული საგადასახადო ზარალის გავლენა	(247,699)	-
მუდმივი სხვაობების გავლენა	582	(5,237)
საშემოსავლო გადასახადის სარგებელი/(ხარჯი)	(133,441)	131,721

განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაზე
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

9. ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრები 2017 წლის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის თარიღი	31 დეკემბერი, 2017წ.	
				პროცენტი	ძირი
ნასესხები სახსრები:					
აქციონერებისგან	USD	6.0%	ნოვ, 2018წ.	2,512	518,440
სხვა პირებისგან	GEL - USD	3.5%-15%	თებ, 2018წ.-ივნ, 2018წ.	9,105	1,053,006
სულ ნასესხები სახსრები				11,617	1,571,446

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის თარიღი	31 დეკემბერი, 2016წ.	
				პროცენტი	ძირი
ნასესხები სახსრები:					
აქციონერებისგან	USD	6.0%	Nov 2017	88	529,360
სხვა პირებისგან	USD	3.5%-6%	Mar 2017 - Aug 2017	16,306	767,051
სულ ნასესხები სახსრები				16,394	1,296,411

ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ნასესხები სახსრები, როგორც ფულადი, ისე არა-ფულადი ნაკადებიდან წარმოშობილი ცვლილებების ჩათვლით, შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	Borrowings
2016 წლის 31 დეკ	1,312,805
ფულადი ნაკადები	775,343
არა-ფულადი ნაკადები:	
საკუთარ კაპიტალად კონვერტირებული ნასესხები სახსრები *	(605,425)
პროცენტის დარიცხვა პერიოდში	99,009
უცხოური ვალუტის გავლენა	1,331
2017 წლის 31 დეკ	1,583,063

*2018 წლის 23 მარტს, ყველა დამფუძნებელი პარტნიორის სახელით, ქ-ნმა რუხსანა ბაშირმა მოახდინა ნასესხები სახსრების საწესდებო კაპიტალში კონვერტირება, ჯამური თანხით 605,425 ლარი (250,000 აშშ დოლ). შესაბამისად, ორგანიზაციას არ ექნება ქ-ნი რუხსანა ბაშირისთვის 250,000 აშშ სოლარის გადახდის ვალდებულება.

განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაზე
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

10. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი 2017 წლის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაერად არის წარმოდგენილი:

აქციონერები	31 დეკემბერი, 2017წ.		31 დეკემბერი, 2016წ.	
	წილი	თანხა	წილი	თანხა
იმრან ხიზარ ჰაიატი	20%	520,400	20%	158,900
რუხსანა ბაშირი	16%	416,320	32%	254,240
მუჰამედ ალი	8.5%	221,170	17%	135,065
ზუბაირ ულა ხან ბანგაში	8.5%	221,170	-	-
მუჰამედ აბდულა ხან ბანგაში	8%	208,160	-	-
ატიფ ულა ხან ბანგაში	8%	208,160	-	-
ფაჰად ალი შეიხი	6%	156,120	12%	95,340
შაუკატ ულა ხან ბანგაში	6%	156,120	-	-
ჰიბა შეიხი	5.5%	143,110	11%	87,395
ჰაჯი საიფ ულა ხან ბანგაში	5.5%	143,110	-	-
ოსმან ბაშირი	4%	104,080	8%	63,560
კიფაიატ ულა ხან ბანგაში	4%	104,080	-	-
სულ სააქციო კაპიტალი	100%	2,602,000	100%	794,500

ნასესხები სახსრების საწესდებო კაპიტალში კონვერტირების შესახებ ინფორმაცია მოცემულია განმარტება 9-ში.

11. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

წმინდა საპროცენტო შემოსავალი 2017 წლის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაერად არის წარმოდგენილი:

საპროცენტო შემოსავალი წარმოიშობა:	2017	2016
კლიენტებზე გაცემული სესხები	558,890	11,773
დეპოზიტები ბანკებში	22,878	14,685
სულ საპროცენტო შემოსავალი	581,768	26,458
 საპროცენტო ხარჯები წარმოიშობა:		
ნასესხები სახსრები	(99,009)	(20,616)
სულ საპროცენტო ხარჯი	(99,009)	(20,616)
 წმინდა საპროცენტო შემოსავალი	482,759	5,842

12. საოპერაციო და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები

საოპერაციო და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები 2017 წლის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის

	2017	2016
იჯარა	(193,734)	(134,379)
ცვეთა	(56,879)	(38,560)
პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერის ხარჯები	(55,557)	(15,921)
დაზღვევა	(51,115)	(1,124)
საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურებები *	(33,825)	(2,961)
განაცხადის ინსპექტირების ხარჯები	(26,688)	(15,397)
რეკლამა	(19,280)	(15,362)
კომუნალური მომსახურება	(11,811)	(6,595)
კომუნიკაცია	(11,719)	(4,399)
მივლინებები	(9,803)	(17,660)
უსაფრთხოება	(9,675)	(5,692)
სხვა	(24,615)	(25,590)
სულ საოპერაციო და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(504,701)	(283,640)

*საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურებები მოიცავს აუდიტის საფასურს, სულ 7,176 ლარის ოდენობით, დღგ-ს გარეშე, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

13. ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი, სასამართლო ხარჯები

ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში ორგანიზაციაში შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სამართლებრივ ქმედებებს და საჩივრებს.

ორგანიზაციის კლიენტების მიერ სესხის დაფარვის ვალდებულებების შეუსრულებლობის შემდეგ, ორგანიზაცია ჩართულია ასეთ კლიენტთა წინააღმდეგ სამართლებრივ დავებში. ასეთი სამართლებრივი დავებიდან ყველაზე მაღალი შესაძლო შედეგია მისაღები სესხების ამოღება ასეთი კლიენტებისგან (დარიცხული პროცენტისა და სხვა დანარიცხების ჩათვლით).

საოპერაციო იჯარის ვალდებულებები

ორგანიზაცია იჯარით იღებს ოფისებს საოპერაციო იჯარის ფარგლებში. იჯარები ფორმდება სხვადასხვა პერიოდის განმავლობაში, იჯარის ვადის გასვლის თარიღზე იჯარის განახლების პირობით. 2017 წლის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არა-გაუქმებადი საოპერაციო საიჯარო ვალდებულებების გადახდის ვადები მოცემულია ქვემოთ:

	31 დეკემბერი, 2017წ.	31 დეკემბერი, 2016წ.
3 თვემდე	50,937	19,851
3 თვიდან 1 წლამდე	152,810	62,200
1 წლიდან 3 წლამდე	436,092	131,017
3 წელზე მეტი	382,919	-
ფინანსური ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი ხარჯები	1,022,758	213,068

14. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკის მართვა

როგორც ფინანსური ინსტიტუტი, ორგანიზაცია დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად წარმოშობილი რისკების წინაშე. წინამდებარე განმარტება აღწერს ორგანიზაციის ვალდებულებებს, პოლიტიკებსა და პროცესებს ამგვარი რისკების მართვის მიზნებისათვის, ასევე, მეთოდებს, რომლებიც გამოიყენება მათი შეფასებისთვის. დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია ამ რისკებთან მიმართებაში წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც არიან ლიკვიდური ან აქვთ მოკლე დაფარვის ვადა, სავარაუდოა, რომ საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

ზოგადი ამოცანები, პოლიტიკა და პროცესები

მენეჯმენტს აქვს საერთო პასუხისმგებლობა ორგანიზაციის რისკების მართვის ამოცანების და პოლიტიკის განსაზღვრაზე და, საბოლოო პასუხისმგებლობის შენარჩუნების პირობებში, მენეჯმენტს დელეგირებული აქვს საოპერაციო პროცესების შექმნის უფლებამოსილება, რაც უზრუნველყოფს ამ ამოცანებისა და პოლიტიკების ეფექტურ განხორციელებას ორგანიზაციის საფინანსო ფუნქციებთან მიმართებაში.

მენეჯმენტის საერთო მიზანია, შექმნას პოლიტიკა, რომელიც მოემსახურება რისკების შემცირებას, რამდენადაც შესაძლებელია, ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე არასასურველი გავლენის გარეშე. ამ პოლიტიკებთან დაკავშირებული დამატებითი დეტალები მოცემულია ქვემოთ. ორგანიზაცია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
 - სავალუტო რისკი
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკის შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე იწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის, ვალდებულების შესაბამისად გადახდის შეუსრულებლობის გზით. საკრედიტო რისკი წარმოიშობა სესხების გაცემის და სხვა კონტრაგენტებთან ტრანზაქციების განხორციელებისას, და შედეგად იწვევს ფინანსური აქტივების წარმოშობას.

რამდენადაც ორგანიზაცია გასცემს მიკრო-სესხებს კლიენტებზე, როგორც ძირითადი საქმიანობა, საკრედიტო რისკს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ნებისმიერი მიკრო-საფინანსო ორგანიზაციის (MFO) რისკის მართვის პროცესის მსგავსად. ამ რისკით გამოწვეული მნიშვნელოვანი ფინანსური ზარალის თავიდან აცილების მიზნით, ორგანიზაცია იყენებს სხვადასხვა მეთოდებს მათი ეფექტურად იდენტიფიცირებისა და მართვისათვის.

ორგანიზაცია მუდმივად უწევს მონიტორინგს ინდივიდუალური კრედიტის შესრულებას და ფილიალები რეგულარულად ახდენენ თავიანთი კლიენტების კრედიტუნარიანობის ხელახალ შეფასებას. ეს მიმოხილვა ეფუძნება საკრედიტო ერთეული მონიტორინგის პერსონალის მიერ მოპოვებული კლიენტების განახლებულ ფინანსურ ინფორმაციას.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს სესხის მაქსიმალურ მოცულობას. საკრედიტო რისკის ზემოქმედების მაქსიმალური სიდიდე ანგარიშგების თარიღისთვის შეადგენდა შემდეგს:

14. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკის მართვა (გაგრძელება)

	31 დეკემბერი, 2017წ.	31 დეკემბერი, 2016წ.
ფული და ფულის ექვივალენტები (სალაროში არსებული ფულის გარდა)	391,059	604,635
კლიენტებზე გაცემული სესხები	1,842,667	285,337
სულ საკრედიტო რისკის ზემოქმედება	2,233,726	889,972

კლიენტებზე გაცემულ სესხებთან დაკავშირებული ორგანიზაციის კრედიტის მოცულობა ასახულია განმარტება 6-ში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი ეხება დაფარვის ვადის დადგომისას ფინანსურ ინსტრუმენტებთან ასოცირებული სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვისთვის აუცილებელი, საკმარისი თანხების არსებობას.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნებისათვის ორგანიზაცია ატარებს მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რაც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. ლიკვიდურობისა და საპროცენტო განაკვეთის რისკის ანალიზი წარმოდგენილია ცხრილებში ქვემოთ. ქვემოთ მოცემული პრეზენტაცია ეფუძნება ორგანიზაციის წამყვანი მენეჯმენტის წევრების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას.

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაერადაა წარმოდგენილი:

	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე
ფინანსური ვალდებულებები		
ნასესხები სახსრები	95,493	1,553,771
სხვა ვალდებულებები	14,559	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	110,052	1,553,771

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობა 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაერადაა წარმოდგენილი:

	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე
ფინანსური ვალდებულებები		
ნასესხები სახსრები	730,585	582,220
სხვა ვალდებულებები	14,874	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	745,459	582,220

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკის შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტის საბაზრო ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი წარმოიშობა ორგანიზაციის მიერ პროცენტაჟი და უცხოური ვალუტის ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იმერყევის უცხოური ვალუტის კურსში (სავალუტო რისკი) და საპროცენტო განაკვეთებში (საპროცენტო განაკვეთის რისკი) ცვლილებების გამო.

14. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკის მართვა (გაგრძელება)

- სავალუტო რისკი

სავალუტო რისკის შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის კურსში ცვლილებების გამო. ორგანიზაცია განიცდის გაბატონებული უცხოური ვალუტის კურსში არსებული რყევების გავლენებს თავის ფინანსურ პოზიციაზე და ფულად ნაკადებზე.

უცხოური ვალუტის კურსის რისკის გავლენა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ცხრილში ქვემოთ:

ფინანსური აქტივები	ლარი	აშშ დოლ
ფული და ფულის ექვივალენტები	62,973	359,711
კლიენტებზე გაცემული სესხები	1,779,699	62,968
სულ ფინანსური აქტივები	1,842,672	422,679

ფინანსური ვალდებულებები	ლარი	აშშ დოლ
ნასესხები სახსრები	50,411	1,532,652
სხვა ვალდებულებები	14,559	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	64,970	1,532,652

ღია საბალანსო უწყისის პოზიცია	1,777,702	(1,109,973)
--------------------------------------	------------------	--------------------

უცხოური ვალუტის კურსის რისკის გავლენა 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ცხრილში ქვემოთ:

ფინანსური აქტივები	ლარი	აშშ დოლ
ფული და ფულის ექვივალენტები	1,508	603,127
კლიენტებზე გაცემული სესხები	-	285,337
სულ ფინანსური აქტივები	1,508	888,464

ფინანსური ვალდებულებები	ლარი	აშშ დოლ
ნასესხები სახსრები	-	1,312,805
სხვა ვალდებულებები	14,874	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	14,874	1,312,805

ღია საბალანსო უწყისის პოზიცია	(13,366)	(424,341)
--------------------------------------	-----------------	------------------

შემდგომი ცხრილი დეტალურად ასახავს ორგანიზაციის მგრძნობელობას უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ლართან მიმართებაში 20%-იანი ზრდის და შემცირების მიმართ და წარმოადგენს მენეჯმენტის შეფასებას უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილების თაობაზე. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი ერთეულების ნაშთს და არეგულირებს მათ კონვერტაციას წლის ბოლოსთვის 20%-იანი ცვლილებით უცხოური ვალუტის კურსში. ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულებების საფუძველზე, სრული შემოსავლის განაცხადსა და კაპიტალზე გავლენა 2017 წლის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

14. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკის მართვა (გაგრძელება)

ბაზრის გაცვლითი კურსის მერყეობის მგრძნობელობა	(ლარი / აშშ დოლ)	
	2017	2016
20% ზრდა	(221,995)	(84,868)
20% შემცირება	221,995	84,868

ანალიზის მიხედვით სავარაუდოა, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ კი საპროცენტო განაკვეთები, რჩება მუდმივი.

- საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთის პოტენციური ცვლილების შედეგად, რომელსაც შეუძლია ნეგატიური ზეგავლენა მოახდინოს ორგანიზაციის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებებზე. რისკი შესაძლოა წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადების შეუსაბამობის შედეგად, ასევე, ასეთი აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებების გადანაგარიშებასთან დაკავშირებული თავისებურებების შედეგად.

ორგანიზაციის ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელსაც ერიცხება პროცენტი, არის ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით, ამიტომაც, საბაზრო საპროცენტო განაკვეთის რყევები გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის შემოსავლებსა ან ხარჯებზე.

ფინანსური ვალდებულებების, რომელსაც ერიცხება პროცენტი, დაფარვის ვადების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ზემოთ, ლიკვიდურობის რისკის რაოდენობრივ ანალიზში.

15. კაპიტალის მართვა

ორგანიზაციის ამოცანები კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით შემდეგია:

- ორგანიზაციის უნარის შენარჩუნება, გააგრძელოს საქმიანობა და ოპერაციები სათანადო დონეზე; და
- შეასრულოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კაპიტალის მოთხოვნები.
- უზრუნველყოს ადეკვატური ამონაგები აქციონერებისთვის.

ორგანიზაცია ადგენს კაპიტალის ოდენობას მოთხოვნის შესაბამისად რისკის პროპორციულად. ორგანიზაცია მართავს თავისი კაპიტალის სტრუქტურას და შეაქვს მასში კორექტირებები ეკონომიკურ პირობებში და ძირითადი აქტივების რისკის მახასიათებლებში ცვლილებების ფონზე.

კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან მასში ცვლილების შეტანის მიზნით ორგანიზაციამ შესაძლოა შეიტანოს ცვლილება აქციონერებისათვის გადახდილი დივიდენდების მოცულობაში, დაუბრუნოს კაპიტალი აქციონერებს, ან გაყიდოს აქტივები ვალის შემცირების მიზნით.

16. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (IAS) 24-ის („დაკავშირებული მხარეები“) თანახმად, დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან შესაძლოა იყოს ერთი ან ერთზე მეტი:

- ა) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის საშუალებით: აკონტროლებენ, ან არიან კონტროლირებადი, ან არიან საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს მშობლებს, შვილობილ კომპანიებს და პარტნიორ-შვილობილ კომპანიებს); გააჩნიათ ინტერესი ორგანიზაციაში, რითიც ეძლევათ მნიშვნელოვანი გავლენა ორგანიზაციაზე; და გააჩნიათ ერთობლივი კონტროლი ორგანიზაციაზე;

16. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

- b) ორგანიზაციის წამყვანი მენეჯმენტის პერსონალის წევრები ან მათი მშობლები;
- c) ნებისმიერი პირის ოჯახის ახლო წევრები, მითითებულია პუნქტებში (a) ან (b);
- d) მხარეები, რომლებიც წარმოადგენენ კონტროლირებად სუბიექტს, ერთობლივად კონტროლირებად ან მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ მყოფ სუბიექტს, ან რომლისთვისაც არსებობს მნიშვნელოვანი ხმის მიცემის უფლება ამგვარ საწარმოში, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ნებისმიერი პირი, მითითებულია პუნქტებში (c) ან (b);

თითოეულ შესაძლო დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობების გათვალისწინებით, ყურადღება ეთმობა ურთიერთობის არსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. ორგანიზაციასა და სხვა დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ტრანზაქციების დეტალები მოცემულია ქვემოთ.

დაკავშირებული მხარეების ნაშთები და ტრანზაქციები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

ამონარიდი ფინანსური ამონაწერიდან	აქციონერები	წამყვანი ხელმძღვანელი პირები
ნასესხები სახსრები	520,952	-
საპროცენტო ხარჯი	(30,109)	-
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	-	(614,521)

დაკავშირებული მხარეების ნაშთები და ტრანზაქციები 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

ამონარიდი ფინანსური ამონაწერიდან	აქციონერები	წამყვანი ხელმძღვანელი პირები
ნასესხები სახსრები	529,448	-
საპროცენტო ხარჯი	(14,155)	-
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	-	(306,944)

17. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

ნასესხები სახსრები

ახალი სესხის მიღება - 2018 წლის 24 იანვარს ორგანიზაციამ მიიღო დამატებით სესხი არსებული კრედიტორებისგან 200,000 აშშ დოლარის ოდენობით. წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრა 8.3%-ით, 12-თვიანი ვადით.

არსებული ხელშეკრულების გაგრძელება - 2018 წლის 24 იანვარს ორგანიზაციასა და ზემოთხსენებულ იმავე კრედიტორს შორის ხელი მოეწერა სასესხო ხელშეკრულების გაგრძელებას. მხარეები შეთანხმდნენ, გააგრძელონ 300 000 აშშ დოლარის სესხი 2019 წლის 24 იანვრამდე.

სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის ნომერი

N181515178



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის თარიღი

14.12.2018 წ

სანოტარო მოქმედების
დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული
მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

ხატია ბერიძე

სანოტარო ბიუროს მისამართი

ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. N 75

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

+995 032 2434820; + 995 5 91 91 21 91

სანოტარო მოქმედების
ინდივიდუალური ნომერი

95070021556018



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას თვრამეტი წლის თოთხმეტ დეკემბერს საქართველოს ნოტარიუსს, ხატია ბერიძის, შემცვლელი პირი ნინო გაბარაშვილი, სანოტარო ბიუროში მდებარე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. N 75, ვადასტურებ თარჯიმნის ეკა ბარამიძეს - (დაბადების თარიღი: 29.07.1975წ.; პირადი N 01024023113, მისამართი: ქალაქი თბილისი, პეკინის გამზირი, N 15, ბინა 76) ხელმოწერის სინამდვილეს. (მთარგმნელმა წარმოადგინა ენის ცოდნის დიპლომი # 00486, გაცემული 18.10.1996წ. ჰუმანიტარულ ტექნიკური ინსტიტუტის მიერ).

ნოტარიუსის შემცვლელმა პირმა გავაფრთხილე თარჯიმანი, რომ ის პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე, რომელმაც დაადასტურა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს.

მე, ნოტარიუსის შემცვლელი პირი, ვამოწმებ თარჯიმნის ირინა ერიაშვილის ხელმოწერის ნამდვილობას და არა ეგზემპლარში წარმოდგენილი სამართლებრივი ფაქტების სიზუსტეს ან დოკუმენტის ნამდვილობას.

გადახდილია საზღაური 68.00 ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათიგადახდევინების წესისა და მომსახურეობის ვადების“ შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის № 507 დადგენილების 31-ე მუხლისა, 12.24 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა (დღგ) და ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციის 2.00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილების 39-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სულ 82.24 ლარი.

ნოტარიუსის შემცვლელი პირი:

ნ. გაბარაშვილი

ნინო გაბარაშვილი



ҚАЗАҚСТАН РЕСПУБЛИКАСЫ АІІМІСТІК ҚАУІП СІЗІМДІГІ
NOTARY KHATIA BERIDZE

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ცენტრალი

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა

2017 წლის 31 დეკემბერს

სარჩევი:

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში	3
--	---

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	Error! Bookmark not defined.
სრული შემოსავლის ანგარიშგება	Error! Bookmark not defined.
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	Error! Bookmark not defined.
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	Error! Bookmark not defined.

განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაზე

1. ზოგადი ინფორმაცია	9
2. მომზადების საფუძველი	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება	15
4. კრიტიკული ბუღალტრული შეფასებები და მსჯელობები	23
5. ფული და ფულის ექვივალენტები	24
6. კლიენტებზე გაცემული სესხები	24
7. უძრავი ქონება და აღჭურვილობა	25
8. დაბეგვრა	26
9. ნასესხები სახსრები	27
10. საწესდებო კაპიტალი	28
11. წმინდა საპროცენტო შემოსავალი	28
12. საოპერაციო და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	29
13. ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი, სასამართლო ხარჯები	Error! Bookmark not defined.
14. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკის მართვა	30
15. კაპიტალის მართვა	33
16. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	33
17. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები	34

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ცენტრალის აქციონერებსა და მენეჯმენტს

შინაარსი

ჩვენ ჩავატარეთ შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ცენტრალის (შემდეგში ორგანიზაცია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს მოცემულ თარიღებში დასრულებული საანგარიშგებო წლებისთვის, ასევე შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

მიგვაჩნია რომ თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა მატერიალური თვალსაზრისის გათვალისწინებით, სამართლიანად წარმოადგენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრისთვის, ასევე მისი ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება მოცემულ თარიღებში დასრულებული საანგარიშგებო წლებისთვის და ფინანსური მდგომარეობა სრულ შესაბამისობაშია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს).

საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი რომელიც შესაბამისობაშია აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან. ამ სტანდარტის შესაბამისად ჩვენი პასუხისმგებლობა ფართოდაა განხილული რეპორტის აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ნაწილში. ჩვენ ვართ ორგანიზაციისგან დამოუკიდებელი და ვმოქმედებთ პროფესიონალ ბუღალტერთა, ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს შესაბამისად (IESBA Code) ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად რომლებიც შესაბამისია საქართველოში ფინანსური ანგარიშგების აუდიტის. ჩვენ შევასრულეთ ჩვენი სხვა ეთიკური პასუხისმგებლობა ამ მოთხოვნებისა და IESBA კოდექსის შესაბამისად.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ, საკმარის და შესაფერის საფუძველს წარმოადგენს აუდიტის დასკვნისთვის.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად სამართლიან წარდგენაზე, ასევე ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნასა და გამოყენებაზე, რომელიც მენეჯმენტის რწმენით უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობისა თუ შეცდომის შედეგად წარმოშობილ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, მენეჯმენტის პასუხისმგებლობაა შეაფასოს ორგანიზაციის უნარი შესაძლებელია თუ არა გააგრძელოს საქმიანობა როგორც მოქმედმა დაწესებულებამ, საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლებთან დაკავშირებული საკითხების საშუაარაოზე გამოტანით მანამ სანამ მენეჯმენტი განიზრახავს ლიკვიდაციას ან საწარმოს საქმიანობის შეწყვეტას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია დააკვირდეს ორგანიზაციის ფინანსური რეპორტირების ჩატარების პროცესს.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ გორივნილი გარანტია იმის შესახებ რომ ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს თაღლითობისა თუ შეცდომის შედეგად წარმოშობილ არსებით უზუსტობებს და ამ მტკიცებულებასთან დაკავშირებით გამოვცეთ აუდიტორის დასკვნა რომელიც შეიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული მტკიცებულება წარმოადგენს მაღალი დონის მტკიცებულებას თუმცა ის არ იძლევა გარანტიას იმისა რომ აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და მისი არსებობის შემთხვევაში ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობებს.

თაღლითობისა თუ შეცდომის შედეგად წარმოშობილი უზუსტობები შეიძლება ჩაითვალოს არსებითად, ინდივიდუალურად ან მთლიანობაში, იმ შემთხვევაში თუ არსებობს გონივრული ეჭვი იმისა რომ მომხმარებლის მიერ ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე მოახდენს გავლენას.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აუდიტის დროს ჩვენ ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმსა და პროფესიული განსჯის უნარს. ასევე ჩვენს მოვალეობებში შედის:

- დავაიდენტიფიციროთ და შევაფასოთ თაღლითობისა თუ შეცდომის შედეგად წარმოშობილი ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკი, ჩამოვყალიბოთ და შევასრულოთ პროცედურები რომლებიც შესაბამისობაშია ზემოთ აღნიშნულ რისკებთან და მოვიპოვოთ აუდიტის მტკიცებულება რომელიც იქნება საკმარისი და შესაბამისი რომ უზრუნველყოს ჩვენი აზრის საფუძველი. არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი თაღლითობის დროს უფრო მაღალია ვიდრე შეცდომის დროს, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს შეთქმულებას, დოკუმენტების გაყალბებას, გამიჯნულ წინდაუხედაობას, ინფორმაციის არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- შევიქმნათ ნათელი წარმოდგენა შიდა კონტროლზე, რომელიც აუდიტის რელევანტურია, იმ მიზნით რომ შევიმუშავოთ აუდიტის პროცედურები, რომლებიც შესაბამისია გარემოებებთან. თუმცა ჩვენ მიზნებში არ შედის გამოვთქვათ მოსაზრება ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- შევაფასოთ გამოყენებული აღრიცხვის პოლიტიკის მიზანშეწონილობა და მენეჯმენტის მიერ განხორციელებული საბუღალტრო შეფასებისა და დაკავშირებული განმარტებების გონივრულობა.
- მოპოვებულ აუდიტორულ დასკვნის საფუძველზე შევიმუშავოთ დასკვნა მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლების გამოყენების შესახებ და განვსაზღვროთ არსებობს თუ არა მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებული მატერიალური უზუსტობები რომლებმაც შესაძლებელია მნიშვნელოვანი ეჭვი გამოიწვიოს იმის შესახებ აქვს თუ არა ორგანიზაციას უნარი გააგრძელოს არსებობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით მატერიალური უზუსტობების არსებობას, მოგვეთხოვება რომ აუდიტორის ანგარიშის წარდგენისას გავამახვილოთ ყურადღება ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებულ განმარტებებზე ან შევცვალოთ ჩვენი მოსაზრება. ჩვენი დასკვნა ეფუძნება აუდიტის მტკიცებულებას, რომელიც მოპოვებულია ჩვენი განახლებული ანგარიშიდან. თუმცა, მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ორგანიზაციის არსებობის შეწყვეტა ფუნქციონირებადი საწარმოს კონტექტში.
- შევაფასოთ ზოგადი სტრუქტურა და შინაარსი ფინანსური ანგარიშგების, რომელიც ძირითადად გარიგებებსა და მოვლენებს წარმოადგენს.
- მოვიპოვოთ საკმარისი და შესაბამისი აუდიტის მტკიცებულება, რომელიც დაეფუძნება საწარმოს ფინანსურ ინფორმაციას ან ორგანიზაციის ბიზნეს საქმიანობას, იმ მიზნით რომ გამოვხატოთ მოსაზრება ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ ვინარჩუნებთ პასუხისმგებელობას მხოლოდ ჩვენ აუდიტორულ მოსაზრებაზე.

კომუნიკაციას ვამყარებთ მმართველობასთან აუდიტის დაგეგმილი მასშტაბებისა და დროის და მნიშვნელოვანი აუდიტის დასკვნების გათვალისწინებით, რომელიც ასევე მოიცავს ნებისმიერ შიდა კონტროლის ხარვეზს რომელიც გამოვავლინეთ ჩვენი აუდიტის დროს.

აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი

ივანე ჟუჟუნაშვილი

შპს ბიდიოს სახელით

თბილისი, საქართველო

25 აპრილი 2018 წ.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ცენტრალი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

	Note	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	5	422,684	604,635
გაცემული სესხები	6	1,842,667	285,337
სხვა აქტივები		40,489	42,258
უძრავი ქონება და აღჭურვილობა	7	202,783	242,249
გადავადებული საშემოსავლო გადასახადის აქტივი	8	1,742	135,183
სულ აქტივები		2,510,365	1,309,662
ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	9	1,583,063	1,312,805
სხვა ვალდებულებები		36,365	22,136
მთლიანი ვალდებულებები		1,619,428	1,334,941
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	2,602,000	794,500
აკუმულირებული ზარალი		(1,711,063)	(819,779)
მთლიანი კაპიტალი		890,937	(25,279)
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		2,510,365	1,309,662

ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2018 წლის 25 აპრილს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი _____ იმრან ხიზარ ჰაიატი

ფინანსური დირექტორი _____ ირინა ვორმანი

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ცენტრალი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

	Note	2017	2016
საპროცენტო შემოსავალი	11	581,768	26,458
საპროცენტო ხარჯი	11	(99,009)	(20,616)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურებამდე		482,759	5,842
სესხების გაუფასურების ხარჯი	6	5,727	(5,727)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		488,486	115
ჯარიმებიდან მიღებული შემოსავალი		25,293	660
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(746,517)	(605,152)
საოპერაციო და სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	12	(504,701)	(283,640)
კურსთაშორის სხვაობიდან წარმოშობილი ზარალი		(20,404)	(25,034)
მოგება დაბეგვრამდე		(757,843)	(913,051)
სარგებელი საშემოსავლო გადასახადიდან /(ხარჯი)	8	(133,441)	131,721
წლის სრული ზარალი		(891,284)	(781,330)

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ცენტრალი
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2017 წლის 31 დეკემბრისთვის
 (ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ
ბალანსი 2015 წლის 31 დეკემბერს	484,388	(38,449)	445,939
საწესდებო კაპიტალის ზრდა	310,112	-	310,112
წლის სრული ზარალი	-	(781,330)	(781,330)
ბალანსი 2016 წლის 31 დეკემბერს	794,500	(819,779)	(25,279)
საწესდებო კაპიტალის ზრდა:			
- ფულადი შენატანით	1,202,075	-	1,202,075
- კონვერტირებული ნასესხები სახსრები	605,425	-	605,425
წლის სრული ზარალი*	-	(891,284)	(891,284)
ბალანსი 2017 წლის 31 დეკემბერს	2,602,000	(1,711,063)	890,937

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ცენტრალი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

	Note	2017	2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მოგება დაბეგვრამდე		(757,843)	(913,051)
კორექტირებები:			
სესხების გაუფასურების ხარჯი	6	(5,727)	5,727
დარიცხული პროცენტის ნეტო ცვლილება	11	(482,759)	(5,842)
ცვეთის ხარჯი	12	56,879	38,560
წმინდა ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან		20,404	25,034
ფულადი ნაკადების გადინება საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში		(1,169,046)	(849,572)
საოპერაციო აქტივების შემცირება (ზრდა):			
გაცემული სესხები		(1,502,395)	(280,064)
სხვა აქტივები		1,769	(35,520)
საოპერაციო ვალდებულებების ზრდა:			
სხვა ვალდებულებები		14,229	1,934
ფულადი ნაკადების გადინება საოპერაციო საქმიანობიდან, დაბეგვრამდე		(2,655,443)	(1,163,222)
მიღებული პროცენტი		532,560	26,458
გადახდილი პროცენტი		(113,500)	(4,766)
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საოპერაციო საქმიანობიდან		(2,236,383)	(1,141,530)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
უძრავი ქონებისა და აღჭურვილობის შესყიდვა	7	(17,413)	(271,615)
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან		(17,413)	(271,615)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:			
შემოდინება ნასესხები სახსრებიდან		937,669	1,187,334
ნასესხები სახსრების დაფარვა		(48,826)	-
შემოდინება საწესდებო კაპიტალის ზრდიდან		1,202,075	310,112
ფულადი ნაკადების წმინდა შემოდინება ფინანსური საქმიანობიდან		2,090,918	1,497,446
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში		(162,878)	84,301
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	5	604,635	446,747
გაცვლითი კურსის ცვლილების ნეტო ეფექტი			
უცხოურ ვალუტაში არსებულ ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		(19,073)	73,587
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს		422,684	604,635

გვ. 9-34-ზე მოცემული განმარტებები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ცენტრალი

განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაზე

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

ა) ორგანიზაცია

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ცენტრალი წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიას (შემდგომში „ორგანიზაცია“), რომელიც შეიქმნა 2015 წლის 23 ოქტომბერს. კომპანია დარეგისტრირდა საქართველოში, თბილისი, საგადასახადო დეპარტამენტის ოფისი; სარეგისტრაციო ნომრით 405121817.

ორგანიზაცია თავის საქმიანობას განახორციელებს მიკროსაფინანსო საქმიანობის შესახებ კანონის ფარგლებში და რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ („სებ“).

ორგანიზაციის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მიკრო-დაფინანსება. კომპანიის ფინანსური პროდუქტები მოიცავს ავტო სესხებს, იპოთეკური სესხებს და ავტო-ლომბარდს.

ორგანიზაციის საერთო მიზანია, უზრუნველყოს მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეები საჭირო/აუცილებელი რესურსებით, მათი ფინანსური რესურსების ეფექტურად მართვისა და სასოფლო-სამეურნეო, კომერციული, სავაჭრო და დამამზადებელ საწარმოებში შემოსავლების გაზრდის მიზნებისათვის, ურბანულ და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების რეგიონებში ხელმისაწვდომი ფინანსური დახმარების უზრუნველყოფის გზით.

ორგანიზაციის მმართველ ორგანოს წარმოადგენს აქციონერთა საერთო კრება. თითოეულ ფილიალში ყოველდღიურ საქმიანობას ზედამხედველობას უწევს ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული და აღმასრულებელი დირექტორის მიერ ნომინირებული ფილიალის მენეჯერი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციას გააჩნდა თბილისში, გიორგი სააკაძის 2, შეს. II-ში მდებარე სათაო ოფისი, ასევე, კიდეც სამი ფილიალი თბილისში.

აქციონერების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ, განმარტება 10-ში. ორგანიზაციას არ გააჩნდა ძირითადი მაკონტროლებელი მხარე 2016 წლის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ბ) ცვლილებები საქართველოს კანონმდებლობაში

2017 წლის 23 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა გადაწყვეტილებას „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონში შემდეგ ცვლილებებთან დაკავშირებით:

- მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ ერთ მსესხებელზე გაცემული მიკროკრედიტის მაქსიმალური ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 100,000 ლარს (ნაცვლად მანამდე გაცხადებული 50,000 ლარისა);
- რეგისტრაციის მომენტში, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საწესდებო კაპიტალში მინიმალური გადახდილი სააქციო კაპიტალი არ შეიძლება შეადგენდეს 1,000,000 ლარზე ნაკლებს (ნაცვლად მანამდე გაცხადებული 250,000 ლარისა). არსებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის საწესდებო კაპიტალის განსაზღვრული მინიმალური ოდენობა უნდა შეივსოს 2019 წლის 1 ივლისამდე შემდეგი გზით:
 - არა ნაკლებ 500,000 ლარისა - 2018 წლის 1 სექტემბრამდე;
 - არა ნაკლებ 1,000,000 ლარისა - 2019 წლის 1 ივლისამდე.

საწესდებო კაპიტალის საერთო ოდენობა უნდა შეივსოს მხოლოდ მონეტარული გზით.

2. მომზადების საფუძველი

შესაბამისობის განაცხადი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშები მომზადებულ იქნა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების შესაბამისად, (ერთობლივად IFRS).

ორგანიზაცია აწარმოებს თავის აღრიცხვას და ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას ქართულ ლარში (GEL), ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების თანახმად.

ორგანიზაციის ანგარიშგების პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით კალენდარულ წელს.

თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მიღებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად, მოითხოვს გარკვეული კრიტიკული საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას. ეს ასევე მოითხოვს მენეჯმენტს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ორგანიზაციის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენებისას. ის მნიშვნელოვანი არეალები, სადაც ფინანსური ანგარიშგებისა და მათი ეფექტების მომზადებისას მოხდა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება და გაკეთდა შეფასებები, წარმოდგენილია განმარტება 4-ში.

შეფასების საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა თავდაპირველი (ისტორიული) ღირებულების ფარგლებში.

მოქმედი საწარმო

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულ იქნა იმ მოსაზრებით, რომ ორგანიზაცია წარმოადგენს მოქმედ საწარმოს და გააგრძელებს თავის საქმიანობას პროგნოზირებად მომავალში. მენეჯმენტი და აქციონერები განიზრახავენ ორგანიზაციის საქმიანობის შემდგომ განვითარებას საქართველოში.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული დანაკარგების მიუხედავად, ორგანიზაცია არ საჭიროებს ფინანსური მხარდაჭერის მიღებას აქციონერებისაგან, ასევე, მესამე მხარეებისგან. ლიკვიდურობის გაუმჯობესების მიზნებისათვის მენეჯმენტი ღიაა კრედიტორებთან მოლაპარაკებებისთვის ნასესხები სახსრების (დეტალები წარმოდგენილია ქვემოთ, განმარტება 17-ში) გაგრძელებასთან დაკავშირებით, რამდენადაც, ხელშეკრულებების უმრავლესობა ითვალისწინებს განახლების პირობებს.

მენეჯმენტს სჯერა, რომ მოქმედი საწარმოს დაშვება მართებულია და ორგანიზაცია გამოიმუშავებს დადებით ფულადი ნაკადებს, მისი მიმდინარე ვალდებულებების დასაფარავად.

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

ა) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან.

სტანდარტებში შეტანილ არცერთ შესწორებას, რომელიც ძალაშია ამ თარიღიდან, მნიშვნელოვანი ზეგავლენა არ მოუხდენია ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები არ არის ჯერ ძალაში.

შემდეგი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც არ არის ჯერ ძალაში შესული და არ იქნა მიღებული ადრე ამ ფინანსურ ანგარიშგებაში, ექნება ან შეიძლება ქონდეს

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

გავლენა ორგანიზაციის მომავალ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 15 - მომხმარებლებთან დადებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლები
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 9 - ფინანსური ინსტრუმენტები
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 16 - იჯარები

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 15 **მომხმარებლებთან დადებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლები**. 2014 წლის მაისში გამოიცა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 15, რომელიც ადგენს ცალკეულ ყოვლისმომცველ მოდელს საწარმოებისთვის მომხმარებლებთან დადებული კონტრაქტებიდან წარმოშობილი შემოსავლების გამოყენების გათვალისწინებით. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 15 ჩაანაცვლებს მიმდინარე შემოსავლების აღიარების სახელმძღვანელო მითითებებს, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (IAS) 18-ის (*შემოსავლები*) და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (IAS) 11-ის (*სამშენებლო კონტრაქტები*) ჩათვლით, ასევე, მასთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს, ძალაში შესვლის შემდგომ.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 15-ის ძირითადი პრინციპის შესაბამისად საწარმომ დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემის ასახვისას, ამონაგები უნდა აღიაროს იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც საწარმო მოელის ამ საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. კონკრეტულად, სტანდარტი ითვალისწინებს ცალკეულ პრინციპს, რომელიც ეფუძნება მომხმარებლებთან ყველა კონტრაქტში გამოყენებად ხუთ ნაბიჯიან მოდელს.

ზემოთხსენებული მოდელი შემდეგი ხუთი ნაბიჯისგან შედგება:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების იდენტიფიცირება
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა
- ტრანზაქციის ფასის გამოყოფა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისთვის
- შემოსავლების აღიარება, როდესაც (ან როგორც კი) საწარმო აკმაყოფილებს ვალდებულებების შესრულებას

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 15-ის ფარგლებში საწარმო აღიარებს შემოსავალს, როდესაც, ან როგორც კი ვალდებულებების შესრულება დაკმაყოფილდება, ასე მაგალითად, როდესაც საქონლის ან მომსახურების „კონტროლი“, რომელსაც საფუძვლად უდევს კონკრეტული ვალდებულების შესრულება, გადაეცემა მომხმარებელს. უფრო მეტად დირექტიული სახელმძღვანელო მითითებები დაემატა ისეთ სფეროებს, როგორიცაა შემოსავლის აღიარების წერტილი, ცვალებადი ანაზღაურების აღრიცხვა, ხელშეკრულების შესრულების და მიღების ხარჯი და სხვადასხვა დაკავშირებული გარემოებები. ასევე, წარმოდგენილია შემოსავლების განცხადებასთან დაკავშირებული ახალი ნორმები.

სტანდარტი ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან; დაშვებულია ადრეულად მიღებული განაცხადების განხილვა. საწარმოს მიერ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 15-ის შერჩეული მიდგომის გამოყენებამ შეიძლება სხვადასხვა მოთხოვნისთვის გამოიწვიოს ერთი ან ერთზე მეტი თავდაპირველი გამოყენების თარიღი.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 9 ფინანსური ინსტრუმენტები. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 9 გამოცემა 2009 წლის ნოემბერში, რომელიც ითვალისწინებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და შეფასების ახალ მოთხოვნებს. შემდგომში, 2010 წლის ოქტომბერში, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 9-ში შევიდა შესწორებები, რომელიც ითვალისწინებს ფინანსური ვალდებულებებისა და აღიარების გაუქმების კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნებს; ხოლო 2013 წლის ნოემბერში სტანდარტით გათვალისწინებულია ზოგადი ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოთხოვნები. 2014 წლის ივლისში საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოსცა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 9-ის საბოლოო ვერსია, რომლითაც ძირითადად გათვალისწინებულია ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნები და ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნების შეზღუდული შესწორებები. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 9 მიზნად ისახავს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (IAS) 39-ის - ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება - ჩანაცვლებას.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 9-ის ძირითადი მოთხოვნები:

- **ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შეფასება.** ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება იმ ბიზნეს მოდელის საფუძველზე, რომელიც გამოიყენება ფინანსური აქტივების მართვისთვის, და ფინანსური აქტივების საკონტრაქტო მახასიათებლების შესაბამისად. უფრო კონკრეტულად, ვალების მართვის ის ინსტრუმენტები, რომლებიც გამოიყენება ბიზნეს მოდელის ფარგლებში და რომლის მიზანია მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების აკუმულირება, ასევე, რომელთაც გააჩნიათ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, რომლებიც წარმოადგენენ მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს ვადაგადაცილებული ძირითადის, ზოგადად, ფასდება ამორტიზირებულ ხარჯად თავდაპირველი აღიარების შემდგომ. 2014 წლის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 9 ითვალისწინებს კატეგორიას „სამართლიანი ღირებულება სხვა სრული შემოსავლის გათვალისწინებით“, იმ სავალ ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც გამოიყენება ბიზნეს მოდელის ფარგლებში, და რომელთა მიზნის მიღწევაც ხორციელდება როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების აკუმულირების, ასევე, ფინანსური აქტივების გაყიდვის გზით და რომელსაც გააჩნია ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო პირობები, რომელიც განსაზღვრავს ფულადი ნაკადების თარიღებს, რაც წარმოადგენს ვადაგადაცილებული ძირითადი თანხის მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებს, რომელიც ფასდება თავისი სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის გათვალისწინებით თავდაპირველი აღიარების შემდგომ. ყველა სხვა ვალი და სააქციონერო ინვესტიციები ფასდება მათი სამართლიანი ღირებულებით. ამასთან ერთად, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 9-ის ფარგლებში, საწარმოებს შეუძლიათ გამოუთხოვადი არჩევანის გაკეთება, რათა წარმოადგინონ შემდგომი ცვლილებები სააქციონერო ინვესტიციის სამართლიან ღირებულებაში (რომელიც არ არის განკუთვნილი ვაჭრობისთვის) სხვა სრულ შემოსავალში, მხოლოდ დივიდენდის შემოსავლით, რომელიც ზოგადად აღიარებულია მოგებასა ან ზარალში.
- **ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება.** ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ანალოგიური წესით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (IAS) 39-ის ფარგლებში, თუმცა, არსებობს სხვაობები მოთხოვნებში, რომელიც გამოიყენება საწარმოს საკრედიტო რისკის შეფასებისას. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 9 მოითხოვს, რომ ფინანსური ვალდებულების სამართლიან ღირებულებაში ცვლილების თანხა, რომელიც მიეკუთვნება ამ ვალდებულების საკრედიტო რისკებში ცვლილებას, წარმოადგენილი იყოს სხვა სრულ შემოსავლებში, თუ OCI-ში ვალდებულების საკრედიტო რისკში ცვლილების ეფექტის აღიარება არ შექმნის ან გაზრდის აღრიცხვის შეუსაბამობას მოგებასა ან ზარალში. ცვლილებები სამართლიან ღირებულებაში, რომელიც მიეკუთვნება ფინანსური ვალდებულებების საკრედიტო რისკს, არ არის სათანადოდ რეკლასიფიცირებული მოგებასა ან ზარალში

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

- **ჰეჯირების აღრიცხვა.** წარმოადგენს ჰეჯირების აღრიცხვის ახალ მოდელს, რომელიც შექმნილია პროცესებთან უფრო მეტი შესაბამისობის მიზნებისათვის, ასევე, თუ როგორ ახორციელებენ საწარმოები რისკის მართვის საქმიანობას, ახდენენ რა ფინანსური და არა-ფინანსური რისკის ზეგავლენის ჰეჯირებას. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 9-ის ფარგლებში, უფრო მეტი მოქნილობა გამოიკვეთა იმ ტიპის ტრანზაქციების მიმართ, რომელთა შემთხვევაშიც შეიძლება გამოყენებული იქნას ჰეჯირების აღრიცხვა, კერძოდ, გაფართოვდა იმ ინსტრუმენტების ტიპები, რომლებიც ექცევა ჰეჯირების ინსტრუმენტების კლასიფიკაციაში, ასევე გაფართოვდა არა-საფინანსო საგნის რისკის კომპონენტების ტიპები, რომელიც შეესაბამება ჰეჯირების აღრიცხვას. ამასთან ერთად, მოხდა ეფექტურობის ტესტის გადახედვა და ჩანაცვლება „ეკონომიკური ურთიერთობების“ პრინციპით. ასევე, აღარ მოითხოვება ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტული შეფასება. ასევე, წარმოდგენილ იქნა საწარმოს რისკის მართვის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის უფრო სრულად წარდგენის მოთხოვნები.
- **აღიარების შეწყვეტა.** ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მოთხოვნები გადმოტანილ იქნა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (IAS) 39-დან.

სტანდარტი ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან; დაშვებულია ადრეულად მიღებული განაცხადების განხილვა. საწარმოს მიერ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 9-ის შერჩეული მიდგომის გამოყენებამ შეიძლება სხვადასხვა მოთხოვნისთვის გამოიწვიოს ერთი ან ერთზე მეტი თავდაპირველი გამოყენების თარიღი.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 16 იჯარები. 2016 წლის იანვარში საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოსცა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 16. IFRS 16 ანაცვლებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტ (IAS) 17-ს - იჯარები, IFRIC 4 განსაზღვრავს, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას, SIC-15 საოპერაციო ლიზინგს - შეღავათებს და SIC-27 იჯარის სამართლებრივი ფორმის შემცველი ტრანზაქციების არსის შეფასებას.

ბუღალტრული ანგარიშგების წესები მეიჯარეთათვის მეტწილად უცვლელად იქნა გადმოტანილი ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (IAS) 17-დან. ეს ნიშნავს, რომ მეიჯარე აგრძელებს იჯარის კლასიფიცირებას, როგორც საოპერაციო ან ფინანსური. ძირითადი ცვლილებები მოიჯარეებისთვის განხორციელდა, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 16-ის მეშვეობით, რომელიც აყალიბებს მოიჯარეთათვის ცალკეულ მოდელს, რომელიც გამორიცხავს განსხვავებას ოპერაციულ და ფინანსურ იჯარებს შორის, და შედეგად აისახება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში, რომელიც ასახავს „სარგებლობის უფლების“ აქტივს და შესაბამის ვალდებულებას უმეტესობა საიჯარო კონტრაქტებზე. აქტივი შესაბამისად აღირიცხება, როგორც უძრავი ქონება, დანადგარები და აღჭურვილობა ან საინვესტიციო უძრავი ქონება, ხოლო ვალდებულება კი დაკორექტირებულია იჯარაში პირობითად დარიცხული საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუმცა, საწარმოებს გააჩნიათ ოფცია, არ შეიტანონ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოკლე-ვადიანი იჯარები (მაგალითად, ისინი, რომლებიც არის 12-თვიანი ან ნაკლებ ვადიანი) და დაბალი ღირებულების იჯარები.

შედეგად, მთავარი კითხვა იცვლება; არის თუ არა იჯარა საოპერაციო ან ფინანსური იჯარა მიმდინარე სახელმძღვანელო მითითებებით, თუ გარიგება უკავშირდება ელემენტებს, რაც პასუხობს იჯარის განსაზღვრებას. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 16-ის მოქმედების არეალი ფართოა, და ზოგი გარიგება შეიცავს აქტივების გამოყენების უფლებას, რას შესაძლოა განხილულ იქნას, როგორც მომსახურების კონტრაქტები (რომლებიც არის აღსრულებითი და არ აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში), შესაძლოა რეალურად მივიდეს იჯარამდე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 16-ის სფერო ფარგლების შესაძლოა

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

მოთხოვნილ იქნას სისტემასა და პროცესებში მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება, ახალ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნებისათვის.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 16-ის გამოყენებამ შესაძლოა გამოიწვიოს ცვლილება ცვეთასა (საოპერაციო ხარჯების ფარგლებში) და საპროცენტო ხარჯში. იმ შემთხვევაში, თუ ცვეთა ირიცხება წრფივი მეთოდის საფუძველზე, მთლიანი დანახარჯი იქნება უფრო მაღალი იჯარის პირველ ნაწილში, შემდგომ პერიოდებთან შედარებით, რამდენადაც, საიჯარო ვალდებულება და დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი იქნება უფრო მაღალი.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 16 ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვარს, ადრეული განაცხადების მიღება იქნება დაშვებული, თუ, რა თქმა უნდა, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 15 იქნება ასევე მიღებული.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 15 (შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 9 (ფინანსური ინსტრუმენტები) და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 16 (იჯარები) ჯერ კიდევ შეფასების პროცესშია, რამდენადაც, ამ ახალ სტანდარტებს შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეთ ორგანიზაციის მომავალ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება

ძირითადი საბუღალტრო პოლიტიკა, რომელიც გამოიყენება ამ ფინანსურ ანგარიშგებაში, მოყვანილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენებოდა ყველა წარმოდგენილი წლის განმავლობაში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) ფინანსური აქტივები

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 39-ის შესაბამისად, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური აქტივი, ან სესხებად და მისაღებ ანგარიშებად, დაფარვის ვადამდე მფლობელობაში არსებულ ინვესტიციებად, ან გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად. ორგანიზაცია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.

მოგებასა ან ზარალში ასახული სამართლიანი ღირებულება

ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, ასახული მოგებასა და ზარალში, როდესაც ფინანსური აქტივი საწარმოს გააჩნია ვაჭრობის მიზნით ან ის განსაზღვრულია, როგორც სამართლიანი ღირებულება, ასახული მოგებასა და ზარალში. ისინი გაცხადებულია სამართლიანი ღირებულებით, ნებისმიერ შესაძლო მოგებასა ან ზარალთან ერთად, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მოგებასა ან ზარალში აღიარებული ხელახალი შეფასებისას.

ორგანიზაციას არ გააჩნია რაიმე აქტივები ვაჭრობის მიზნებისათვის, არც ნებაყოფლობით არ კლასიფიცირდება რაიმე ფინანსური აქტივები, რამდენადაც გააჩნია სამართლიანი ღირებულება, რომელიც ასახულია მოგებასა და ზარალში.

დაფარვის ვადამდე მფლობელობაში არსებული ინვესტიციები

არა-დერივატიული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით და გადახდის დადგენილი ვადებით კლასიფიცირდებიან, როგორც დაფარვის ვადამდე მფლობელობაში არსებული, იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაციას გააჩნია პოზიციტიური განზრახვა და უნარი, შეინარჩუნოს ის დაფარვის ვადის დადგომისას. ორგანიზაციას არ გააჩნია დაფარვის ვადამდე მფლობელობაში არსებული ინვესტიციები.

სესხები და მისაღები ანგარიშები

ეს აქტივები წარმოადგენს არა-დერივატულ ფინანსურ აქტივებს, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. მათი აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, დამატებული ოპერაციული ხარჯები, რომელიც უშუალოდ უკავშირდება მათ შეძენას ან გამოცემას და, შესაბამისად, აღირიცხება ამორტიზირებულ ხარჯში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გამოკლებული გაუფასურების უზრუნველყოფა.

გაყიდვაში

არა-დერივატიული ფინანსური აქტივები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ზემოთ მოცემულ კატეგორიებში, კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად არსებული აქტივები და ძირითადად წარმოადგენს ორგანიზაციის სტრატეგიულ ინვესტიციებს იმ საწარმოებში, რომლებიც არ კვალიფიცირდებიან, როგორც შვილობილები, ასოცირებული ან ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოები, ასევე, როგორც კორპორატიული ობლიგაციები. ისინი აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, სამართლიან ღირებულებაში ცვლილებების გათვალისწინებით, რომელიც ზოგადად აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში და აკუმულირდება გაყიდვისთვის არსებულ რეზერვების ნაწილში; ხოლო სადაც ადგილი აქვს ხანგრძლივ გადახრას/შემცირებას გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივის სამართლიან ღირებულებაში (რაც წარმოადგენს გაუფასურების ობიექტურ მტკიცებულებას), გაუფასურების სრული ოდენობა, სხვა სრულ შემოსავალში ადრე აღიარებული ნებისმიერი თანხის ჩათვლით, აღიარებულია მოგებასა ან ზარალში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივის შესყიდვები და გაყიდვები აღიარებულია ანგარიშსწორების თარიღში სამართლიან ღირებულებაში ნებისმიერი ცვლილების გათვალისწინებით, სავაჭრო თარიღსა და ანგარიშსწორების თარიღს შორის პერიოდზე, რომელიც აღიარებულია გასაყიდად არსებული რეზერვების ნაწილში. გაყიდვაში არსებული, კუმულატიური მოგება ან ზარალი, რომელიც აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, რეკლასიფიცირდება გასაყიდად არსებულ რეზერვების ნაწილში, მოგებასა ან ზარალში. ორგანიზაციას არ გააჩნია რაიმე აქტივი, რომელიც კლასიფიცირდება, როგორც გაყიდვაში არშეხვედრილი.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ორგანიზაცია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას იმ შემთხვევაში, როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია ან აქტივებიდან ფულად ნაკადებზე უფლებები სხვაგვარად ამოიწურა, ან (ბ) ორგანიზაციამ სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულად ნაკადებზე (შემოსულობებზე) უფლებები ან დადო გარიგება მეორადი ფასიანი ქაღალდების გამოყენებით, ამასთან საწარმო (i) ასევე არსებითად გადასცემს აქტივების საკუთრების ყველა რისკს და სარგებელს, ან (ii) არც გადასცემს და არც არსებითად ინარჩუნებს საკუთრების ყველა რისკსა და სარგებელს, მაგრამ არ ინარჩუნებს კონტროლს. კონტროლის შენარჩუნება ხდება იმ შემთხვევაში, თუ კონტრაგენტს არ გააჩნია პრაქტიკული შესაძლებლობა, მთლიანად გაყიდოს აქტივი არა-დაკავშირებულ მესამე მხარეზე, გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაკისრების საჭიროების გარეშე.

(ბ) ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც ორგანიზაციის და კლიენტების ანგარიშებზე გადასახდელი თანხები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით, მინუს ტრანზაქციის ხარჯები. ფინანსური ვალდებულებები შესაბამისად ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რეალური შემოსავლის საფუძველზე აღიარებული საპროცენტო ხარჯით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს შესაბამისი პერიოდის განმავლობაში ფინანსური ვალდებულების და საპროცენტო ხარჯების გამოყოფის ამორტიზირებული ხარჯის კალკულაციის მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს სავარაუდო

მომავალი ფულადი ნაკადების (შემოსავლების) დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების სავარაუდო პერიოდზე, ან (სადაც შეესაბამება) უფრო მოკლე პერიოდზე წმინდა საბალანსო ღირებულებას პირველად აღიარებულ სიდიდემდე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ორგანიზაცია წყვეტს ფინანსური ვალდებულებების აღიარებას მაშინ, როდესაც ორგანიზაციის ვალდებულებები იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის აღიარება შეწყვეტილია და კომპენსაცია გადახდილია, შესაბამისად, ვალდებულებები აღიარებულია მოგებასა და ზარალში.

(გ) ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთჩათვლება და წმინდა თანხა აისახება საბალანსო უწყისში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლის იურიდიული უფლება და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

(დ) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 13 სამართლიანი ღირებულების შეფასების იერარქია

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS) 13 მოითხოვს ინფორმაციის გმჟღავნებას, რაც, ამასთან, მოითხოვს სამართლიანი ღირებულების იერარქიის გამოყენებით სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას, რომელიც ასახავს სამართლიანი ღირებულების შეფასების პროცესში გამოყენებული საშუალებების მნიშვნელობას. სამართლიანი ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

- ანალოგიური აქტივებისა და ვალდებულებების კოტირებული (არაკორექტირებული) ფასები მოქმედ ბაზარზე (დონე 1);
- ამოსავალი მონაცემები, გარდა კოტირებული ფასებისა, რომელიც შედის დონე 1-ში, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აქტივებზე ან ვალდებულებებზე ან პირდაპირი (მაგალითად, როგორც ფასები) ან არაპირდაპირი (მაგალითად, ფასებიდან მიღებული) გზით (დონე 2); და
- აქტივზე ან ვალდებულებაზე ამოსავალი მონაცემები, რომლების არ ეყრდნობიან საბაზრო მონაცემებს (არასაბაზრო მონაცემები) (დონე 3).

სამართლიანი ღირებულების იერარქიაში, ის დონე, რომლის ფარგლებშიც კატეგორიზდება ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება, განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის საშუალების საფუძველზე, რაც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდებიან მთლიანობაში სამი დონიდან მხოლოდ ერთში.

ორგანიზაციას არ გააჩნია სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები ან ვალდებულებები; შესაბამისად, ისინი არ არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტ (IFRS) 7-ში - სამართლიანი ღირებულების შეფასების იერარქია.

(ე) ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები

გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აღიარებულია მოგებასა ან ზარალში, როდესაც ის წარმოიშვა ერთი ან მეტი მოვლენის („ზარალის დადგომის შემთხვევა“) შედეგად, რომელიც წარმოიშვა ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარების შემდგომ და რომელსაც აქვს გავლენა იმ ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების თანხაზე ან ამ ნაკადების დროზე, რომელიც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს. ძირითადი ფაქტორები, რომლებიც ორგანიზაციამ უნდა გაითვალისწინოს ფინანსური აქტივების გაუფასურებისას, არის მისი ვადაგადაცილებული სტატუსი და დაკავშირებული გირაოს რეალიზებადობა, თუ ასეთი არსებობს.

შემდგომი სხვა ძირითადი კრიტერიუმები ასევე გამოიყენება იმის განსაზღვრისთვის, არსებობს თუ არა გაუფასურებით გამოწვეული ზარალის წარმოშობის ობიექტური მტკიცებულება:

- ნებისმიერი შენატანი არის ვადაგადაცილებული და დაგვიანებით მიღებული გადახდა არ შეიძლება მიეკუთვნოს ანგარიშსწორების სისტემებით გამოწვეულ გადავადებას;
- მსესხებელი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, რასაც ადასტურებს მსესხებლის ფინანსური ინფორმაცია, რომელსაც ორგანიზაცია მოიპოვებს;
- მსესხებელი განიხილავს, როგორც გაკოტრებას ან ფინანსურ რეორგანიზაციას;
- არსებობს ნეგატიური ცვლილება მსესხებლის გადახდის მდგომარეობასთან დაკავშირებით, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების ცვლილებების შედეგად, რომლებიც გავლენას ახდენენ მსესხებელზე;
- გირაოს ღირებულება საგრძნობლად მცირდება საბაზრო პირობების გაუარესების შედეგად.

3. მნიშვნელოვანი საღრიცხო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

გაუფასურების გამოთვლა ხდება აქტივების ანალიზის საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს რისკის საგანს და ასახავს საკმარის თანხას, მენეჯმენტის აზრით, შესაბამისი დანაკარგების დასაფარად.

რეზერვები იქმნება აქტივების ინდივიდუალური შეფასების შედეგად, რომელიც წარმოადგენს რისკის საგანს მატერიალურად ინდივიდუალურ ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში, ან მატერიალურად არა-ინდივიდუალური ფინანსური აქტივების ინდივიდუალური ან ერთობლივი შეფასების საფუძველზე. გაუფასურების კოლექტიური შეფასების მიზნებისათვის, ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე.

ფინანსური აქტივების ჯგუფში მომავალი ფულადი სახსრები, რომლებიც კოლექტიურად შეფასებულია გაუფასურებაზე, შეფასებულია საკმარისი ისტორიული დანაკარგის გამოცდილებისა და ვადაგადაცილებული თანხების დაფარვის წარმატების საფუძველზე. ისტორიული გამოცდილება მორგებულია მიმდინარე შემოწმებადი მონაცემების საფუძველზე, რათა მოხდეს მიმდინარე პირობების ზემოქმედებების ასახვა, რომელიც არ ახდენს გავლენას გასული პერიოდებზე, ასევე, წარსულის პერიოდების იმ პირობების შედეგების ამოღება, რომლებიც ამჟამად აღარ ფიქსირდება. თუ, ამორტიზირებული ღირებულებით არსებული გაუფასურებული ფინანსური აქტივების პირობები წარმოადგენს ხელახალი მოლაპარაკების საგან ან, სხვაგვარად, მოდიფიცირებულია მსესხებლის ან ემიტენტის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურების შეფასება ხდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით პირობების მოდიფიკაციამდე.

გაუფასურებით გამოწვეული ზარალი ყოველთვის აღიარებულია რეზერვის ანგარიშის საშუალებით, აქტივების საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ამჟამინდელ ღირებულებამდე (რაც გამორიცხავს სამომავლო საკრედიტო დანაკარგებს, რომლებიც არ წარმოშობილა) შემცირების მიზნებისათვის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივების სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება ასახავს ფულად ნაკადებს, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას დაგირავებული ქონების მგირავებელთან გადასვლის პროცესში

გაწეული ხარჯებით, მიუხედავად იმისა, არის თუ არა მოსალოდნელი გირაოს მგირავებელისთვის გადაცემა.

ნაღდი ფული და ფულის ექვივალენტი

ნაღდი ფული და ფულის ექვივალენტები წარმოადგენს ისეთ საგანს, რომლებიც ადვილად კონვერტირებადია ნაღდი ფულის ცნობილი ოდენობით და რომელიც ექვემდებარება ღირებულების ცვლილებების უმნიშვნელო რისკს. ნაღდი ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს განკარგულებაში არსებულ ფულად სახსრებს, ასევე, ყველა საბანკო ინვესტიციას ან მისაღებ თანხებს სამ თვეზე ნაკლები დაფარვის ვადით. თავდაპირველად სამ თვეზე მეტი პერიოდით შეზღუდული სახსრები გამოირიცხება ფულადი სახსრებიდან და მათი ექვივალენტებიდან.

უძრავი ქონება და აღჭურვილობა

უძრავი ქონება, აღჭურვილობა და არამატერიალური აქტივები აღირიცხება თავდაპირველი ისტორიული ღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და აღიარებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალი, თუ ასეთი არსებობს. ცვეთა აისახება ქონების, აღჭურვილობის და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებით და იქმნება აქტივების ჩამოსაწერად აქტივების სასარგებლო ეკონომიკური ვადის განმავლობაში. ცვეთის გაანგარიშება ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით 5 წლის პერიოდზე გადაანგარიშებით.

უძრავი ქონებისა და აღჭურვილობის საბალანსო ღირებულება განიხილება ყოველ საანგარიშო თარიღზე იმის შესაფასებლად, აღირიცხება თუ არა ისინი ანაზღაურებადი თანხების ნამეტი

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

ოდენობით. ანაზღაურებადი თანხა უფრო მაღალია, ვიდრე სამართლიანი ღირებულება, მიწის გაყიდვის ხარჯები და გამოყენების ღირებულება.

საწესდებო კაპიტალი და დივიდენდები

კაპიტალი მოიცავს საწესდებო კაპიტალს და გადაუნაწილებელ მოგებას. დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც ისინი დეკლარირდება. საანგარიშო პერიოდის დასრულებისა და ფინანსური ანგარიშგების პერიოდამდე დეკლარირებული ნებისმიერი დივიდენდის შემთხვევაში მათი გაცემა ავტორიზებულია, რაც უნდა აისახოს შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებებში.

რეზერვები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

რეზერვი წარმოადგენს გაურკვეველი ვადის ან თანხის ვალდებულებას. ვალდებულება წარმოადგენს საწარმოს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოშობილია წარსულში მომხდარი მოვლენებით, რომელთა შესრულების შედეგად მოსალოდნელია საწარმოდან ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება. ვალდებულებითი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც ქმნის სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რომლის შედეგადაც საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის რეალური ალტერნატივა. სამართლებრივი ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს შემდეგიდან:

- ხელშეკრულება (თავისი აშკარა ან დაფარული პირობებით);
- კანონმდებლობა; ან
- სხვა კანონის მოქმედება.

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც გამომდინარეობს საწარმოს მოქმედებებიდან, როდესაც:

- წარსული პრაქტიკით დამკვიდრებული პრინციპების, გამოქვეყნებული პოლიტიკის ან საკმარისად კონკრეტული ხასიათის მიმდინარე განაცხადის შესაბამისად, საწარმომ მიუთითა სხვა მხარეებს, რომ ის თავის თავზე აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს;

და

- შედეგად, საწარმომ შექმნა ვალიდური მოლოდინი იმ სხვა მხარეთა ნაწილში, რომლითაც ის იღებს ამ ვალდებულებებს.

ტერმინი „პირობითი ვალდებულება“ გამოიყენება იმ ვალდებულებებთან მიმართებაში, რომლებიც არ პასუხობენ აღიარების კრიტერიუმებს. სააღრიცხვო პოლიტიკა შეიძლება შემდეგნაირად განვასხვავოთ:

- რეზერვები - რომლებიც აღიარებულია, როგორც ვალდებულებები (იმ ვარაუდით, რომ საიმედო შეფასება შეიძლება გაკეთდეს), რადგანაც ისინი წარმოადგენს მიმდინარე ვალდებულებებს და სავარაუდოა, რომ ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება საჭირო იქნება ვალდებულებების დასარეგულირებლად; და
- პირობითი ვალდებულებები - რომლებიც არ არის აღიარებული, როგორც ვალდებულებები, რადგანაც ისინი წარმოადგენენ:
 - შესაძლო ვალდებულებებს, რადგანაც ჯერ კიდევ არ არის დადასტურებული, აქვს თუ არა საწარმოს მიმდინარე ვალდებულება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება; ან
 - მიმდინარე ვალდებულებებს, რომლებიც არ პასუხობენ აღიარების კრიტერიუმებს ამ სტანდარტში (რადგანაც ან არ არსებობს ვარაუდი, რომ ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება საჭირო იქნება ვალდებულებების დასარეგულირებლად, ან შეიძლება ვერ მოხდეს ვალდებულების მოცულობის საკმარისად საიმედოდ შეფასება).

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

პირობითი ვალდებულებები არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება სავარაუდოდ წარმოშობა და ამგვარი ვალდებულებების მოცულობა შესაძლოა საიმედოდ შეფასდეს. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია ასახულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება სავარაუდოდ.

პირობითი ვალდებულებები შესაძლოა განვითარდეს ისე, როგორც ეს თავდაპირველად არ იყო მოსალოდნელი. ამიტომაც, ხდება მათი მუდმივად შეფასება იმის დასადგენად, რამდენად სავარაუდოა ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება. იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდო ხდება, რომ ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება საჭირო გახდება იმ საგნისთვის, რომელიც ადრე იყო განხილული, როგორც პირობითი ვალდებულება, მაშინ რეზერვი აღიარებულია იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელშიც წარმოიშობა ალბათობის ცვლილება (გარდა უკიდურესად იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც საიმედო შეფასება არ შეიძლება გაკეთდეს).

პირობითი აქტივები არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში, მაგრამ ინფორმაცია მათ შესახებ მოცემულია იმ შემთხვევაში, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების შემოღინება შესაძლებელია. თუ ეკონომიკური სარგებელი ნამდვილად წარმოიშობა, აქტივი და დაკავშირებული შემოსავალი აღიარებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წლის განმავლობაში, როდესაც ცვლილებას შეფასებაში ჰქონდა ადგილი.

დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი წლის განმავლობაში მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. გადასახადი აღიარებულია სრული შემოსავლის განაცხადში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი დაკავშირებულია სხვა სრულ შემოსავალში ან უშუალოდ სააქციო კაპიტალში აღიარებულ საგანთან. ამ შემთხვევაში, გადასახადი ასევე აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში ან, შესაბამისად, უშუალოდ სააქციო კაპიტალში.

მიმდინარე საშემოსავლო გადასახადის გამოთვლა ხდება საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე, რომელიც მოქმედებს ან არსებითად ამოქმედდა ბალანსის შედგენის თარიღზე საქართველოში და წარმოშობს დაბეგრვად შემოსავალს. მენეჯმენტი პერიოდულად აფასებს საგადასახადო დეკლარაციებში არსებულ პოზიციებს იმ სიტუაციებთან მიმართებაში, როდესაც მოქმედი საგადასახადო რეგულაცია წარმოადგენს ინტერპრეტაციის საგანს. საჭიროების შემთხვევაში, ის ადგენს რეზერვებს საგადასახადო ორგანოებისთვის სავარაუდოდ გადასახდელი თანხების შესაბამისად.

ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით, გადავადებული საშემოსავლო გადასახადის აღიარება ხდება იმ დროებითი სხვაობების საფუძველზე, რომლებიც წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის ფინანსურ ანგარიშგებაში. თუმცა, გადავადებული საშემოსავლო გადასახადი არ აღირიცხება, თუ ის წარმოშობილია ტრანზაქციაში აქტივისა ან ვალდებულების თავდაპირველი აღიარებიდან, გარდა ბიზნეს კომბინაციისა, როდესაც ტრანზაქციის დროს გავლენას არ ახდენს არც ბუღალტრულ აღრიცხვაზე და არც დასაბეგრ მოგებასა და ზარალზე. გადავადებული საშემოსავლო გადასახადი განისაზღვრება საგადასახადო განაკვეთის (და კანონების) გამოყენებით, რომელიც ამოქმედდა ან არსებითად ამოქმედდა ბალანსის მომზადების თარიღისათვის და სავარაუდოდ გამოიყენება, როდესაც ხდება დაკავშირებული გადავადებული საშემოსავლო გადასახადის აქტივის რეალიზება ან გადავადებული საშემოსავლო გადასახადი დაფარულია.

გადავადებული საშემოსავლო გადასახადის აქტივები აღიარებულია მხოლოდ იმ მიმართებით, თუ სავარაუდოა, რომ მომავალი დასაბეგრი მოგება ხელმისაწვდომი იქნება, რომლის დროსაც შეიძლება

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

გამოყენებულ იქნეს დროებითი განსხვავებები. გადავადებული საშემოსავლო გადასახადის აქტივები და ვალდებულებები გამოიქვითება, როდესაც არსებობს კანონიერი აღსრულების უფლება, გამოიქვითოს მიმდინარე საგადასახადო აქტივები მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების წინააღმდეგ, და როდესაც გადავადებული საშემოსავლო გადასახადის აქტივები და ვალდებულებები ეხება საშემოსავლო გადასახადს, და იბეგრება იმავე საგადასახადო ორგანოს მიერ და როდესაც არსებობს ნაშთების ნეტოს საფუძველზე დაფარვის განზრახვა

საპროცენტო შემოსავლის და ხარჯების აღიარება

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღრიცხულია ყველა სავალ ინსტრუმენტზე, დარიცხვის მეთოდით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ამ მეთოდით, როგორც საპროცენტო შემოსავლის ან ხარჯის ნაწილი, ხდება ყველა გადახდილი ან მიღებული გადასახდელის გადავადება, ხელშეკრულების მხარეებს შორის, რაც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, საოპერაციო ხარჯებისა და ყველა სხვა პრემიუმებისა თუ დისკონტების განუყოფელ ნაწილს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი საკომისიო მოიცავს საწარმოს მიერ მიღებულ ან გადახდილ სესხის გაცემის საკომისიოს, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შექმნასთან ან შეძენასთან ან ფინანსური ვალდებულების გაცემასთან, მაგალითად, კრედიტუნარიანობის შეფასების ხარჯი, გარანტიების ან გირაოს შეფასება და აღრიცხვა, ინსტრუმენტების პირობების განხილვა და ტრანზაქციის დოკუმენტების დამუშავება. საბაზრო საპროცენტო განაკვეთით სესხის გაცემის პროცესის დაწყების მიზნით, ორგანიზაციის მიერ მიღებული სავალდებულო გადასახადი (საკომისიო) წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, თუ

ორგანიზაცია შედის კონკრეტულ სასესხო გარიგებაში და არ არსებობს იმის მოლოდინი, რომ მისი გაცემიდან მოკლე ვადაში მოხდება შედეგად მიღებული სესხის გაყიდვა

როდესაც სესხები და სხვა სავალ ინსტრუმენტების ამოღება ხდება საექვო, ისინი აღრიცხება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ნარჩენი ღირებულებით და საპროცენტო შემოსავალი ამის შემდეგ აღრიცხება დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებით აქტივების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე, რომელიც გამოყენებულ იქნა გაუფასურებით გამოწვეული ზარალის შეფასებისათვის.

ყველა სხვა დანარჩენი მოსაკრებლები, საკომისიოები და სხვა საშემოსავლო და ხარჯების ნაწილი ზოგადად აღრიცხება დარიცხვის მეთოდით, კონკრეტული გარიგების დასრულების მითითებით, და ფასდება ფაქტობრივი მომსახურების საფუძველზე იმ პირობით, რომ უზრუნველყოფილი იქნება მთლიანი მომსახურების პროპორციულად.

მოლაპარაკებებით, ან ტრანზაქციის მოლაპარაკებებში მონაწილეობით მესამე მხარესთან მიმართებაში წარმოშობილი საკომისიო გადასახადები და მოსაკრებლები, როგორებიცაა სესხების, აქციების ან სხვა ფასიანი ქაღალდების შეძენა ან ბიზნესის შესყიდვა ან გაყიდვა, რომლებიც მიიღება ძირითადი გარიგების აღსრულებიდან, აღრიცხება მისი დასრულებისას.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ნაწილში, თუ წარმოიქმნება მომავალი ეკონომიკური მოგების ნებისმიერი შემცირება, რომელიც უკავშირდება აქტივის შემცირებას ან ვალდებულების გაზრდას, რომელიც შესაძლოა საიმედოდ შეფასდეს.

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის განაცხადში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯები მომავალში მეტად აღარ გამოიწვევს ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან წყვეტს აღიარების მოთხოვნების დაკმაყოფილებას, როგორც საბალანსო უწყისის აქტივი.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

საოპერაციო იჯარა

იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაცია წარმოადგენს მოიჯარეს, იჯარაში, რომელიც არ ითვალისწინებს მეიჯარიდან ორგანიზაციაზე იჯარასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებელის ორგანიზაციისთვის გადაცემას, საერთო საიჯარო გადასახადები აღირიცხება მოგებას ან ზარალში წლის განმავლობაში იჯარის ვადის განმავლობაში. იჯარის ვადა არის არა-გაუქმებადი პერიოდი, რომლისთვისაც მოიჯარემ აიღო ვალდებულება იჯარით აიღოს აქტივი სხვა შემდგომი პირობების გათვალისწინებით, რომლისთვისაც მოიჯარეს აქვს აქტივის იჯარის გაგრძელების ოფცია, გადახდით ან გადახდის გარეშე, როდესაც იჯარის დაწყების პერიოდში გონივრულად ნათელია, რომ მოიჯარე გამოიყენებს ოფციას.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ანაზღაურება, ხელფასები, ბონუსები და არა-ფულადი ბენეფიტები წარმოიშობა იმ წელს, როდესაც ორგანიზაციის თანამშრომლები უზრუნველყოფენ ასოცირებულ სერვისებს.

ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები და ის მოვლენები, რომლებიც ჩატარდა ფინანსური ანგარიშგების თარიღამდე, რაც უზრუნველყოფს დამატებით ინფორმაციას ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების შესახებ, გაცხადებულია ფინანსურ ანგარიშგებში. ანგარიშგების თარიღის შემდგომი ღონისძიებები, რომელთაც არ აქვთ გავლენა ორგანიზაციის ფინანსურ პოზიციაზე საბალანსო უწყისის მომზადების თარიღისათვის, აღრიცხულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებებში.

უცხოური ვალუტის გადაანგარიშება

ფინანსურ ანგარიშში შეტანილი საკითხები შეფასებულია იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტის გამოყენებით, რომელშიც ახორციელებს ოპერაციებს („ფუნქციონალური ვალუტა“) ორგანიზაცია. ფინანსური ანგარიშები წარმოდგენილია ქართულ ლარში (GEL), რომელიც წარმოადგენს ორგანიზაციის ოპერირებისა და წარმოდგენლობით ვალუტას.

მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაანგარიშებულია ორგანიზაციის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის მოგება და ზარალი, რომელიც გამოწვეულია ტრანზაქციების განხორციელების და მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების ტრანზაქციების შედეგად ორგანიზაციის ფუნქციონალურ ვალუტაში წლის ბოლოს ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ გამოიყენება არა-მონეტარულ აქტივებზე, სააქციონერო ინვესტიციების ჩათვლით. სავალუტო გაცვლის კურსის ცვლილებების გავლენა საწარმოო ფასიანი ქაღალდების სამართლიან ღირებულებაზე აღრიცხულია, როგორც მოგებისა ან ზარალის სამართლიანი ღირებულების ნაწილი.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის კურსებს 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	აშშ დოლ / ლარი
ვალუტის კურსი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.5922
ვალუტის კურსი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.6468

4. კრიტიკული ბუღალტრული შეფასებები და მსჯელობები

ორგანიზაცია აკეთებს გარკვეულ შეფასებებს და დაშვებებს მომავალთან დაკავშირებით. შეფასებები და დასკვნები მუდმივად ფასდება ისტორიულ გამოცდილებაზე და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მომავალი ღონისძიებების მოლოდინების ჩათვლით, რომლებიც, სარწმუნოა, რომ იქნება გონივრული, არსებული პირობების გათვალისწინებით. მომავალში, რეალურმა გამოცდილებამ შესაძლოა აჩვენოს განსხვავებული შეფასებები და ვარაუდები. შეფასებები და ვარაუდები, რომელთაც გააჩნიათ მნიშვნელოვანი რისკი, გამოიწვიოს მატერიალური შესწორებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში, მოცემულია ქვემოთ.

სესხების და მისაღები თანხების გაუფასურების რეზერვები

ორგანიზაცია რეგულარულად მიმოიხილავს თავის სასესხო პორტფელს, გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის. იმის განსაზღვრა, აღირიცხოს თუ არა გაუფასურების ზარალი მოგებისა და ზარალის უწყისში, ორგანიზაცია მსჯელობს, არსებობს თუ არა შემოწმებადი მონაცემები, რომლებიც აჩვენებს, რომ არსებობს გაზომვადი შემცირება სავარაუდო მომავალ ფულად ნაკადებში სესხების პორტფელიდან შემცირებამდე, რაც შეიძლება იდენტიფიცირებულ იქნას ინდივიდუალურ სესხად ამ პორტფელში. ეს მტკიცებულება შესაძლოა შეიცავდეს შემოწმებად მონაცემებს, რომელიც აჩვენებს, რომ ადგილი ჰქონდა ნეგატიურ ცვლილებას მსესხებლების დაფარვის სტატუსში, ან არსებობდა ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური გარემოებები, რომელსაც შეესატყვისება ორგანიზაციაში აქტივებთან დაკავშირებული დეფოლტები. თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ წარმოიშვა გაუფასურების ზარალი სესხებზე ან მისაღებ თანხებზე, ზარალის ოდენობა ფასდება, როგორც სხვაობა სესხის საბალანსო ღირებულებასა ან მისაღებ თანხებს და სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, გირაოდან დაფარვადი თანხების ჩათვლით, რომელიც დისკონტირებულია სესხისა თუ მისაღები თანხების თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთამდე. მეთოდოლოგია და ვარაუდები, რომლებიც გამოიყენება მომავალი ფულადი ნაკადების როგორც მოცულობის, ისე ვადის შეფასებისათვის, რეგულარულად წარმოადგენს მიმოხილვის საგანს, ზარალის შეფასებებისა და რეალური ზარალის პრაქტიკას შორის ნებისმიერი სხვაობის შემცირების მიზნებისათვის.

საშემოსავლო გადასახადი

ბიზნესის ჩვეულ რეჟიმში მიმდინარეობის პირობებში, არსებობს მრავალი გარიგება და გაანგარიშებები, რომელთათვისაც საბოლოო გადასახადის განსაზღვრა გაურკვეველია. შესაბამისად, ორგანიზაცია საგადასახადო ვალდებულებებს აღიარებს იმის მიხედვით, განსაზღვრულია თუ არა (დაანგარიშების საფუძველზე) დამატებითი პროცენტისა და გადასახადების დაფარვა შესაბამის ვადაში. ამ საგადასახადო ვალდებულებების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც, მიუხედავად ორგანიზაციის რწმენისა, რომ მისი საგადასახადო დეკლარაციის პოზიციები სათანადოა, ორგანიზაციას სჯერა, რომ გარკვეული პოზიციები შესაძლოა ისევ არ იყოს სრულყოფილი და შესაძლოა არ შენარჩუნდეს სრულად საგადასახადო ორგანოების მიერ ჩატარებული განხილვის შემდგომ. შედეგად, ორგანიზაცია მინიმუმამდე ამცირებს ამ ფაქტთან დაკავშირებულ რისკებს. ორგანიზაციას სჯერა, რომ მისი საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა არის ადექვატური ყველა ღია აუდიტის წლისათვის, მრავალი ფაქტორის შეფასებაზე დაყრდნობით, წარსული გამოცდილებისა და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციის გათვალისწინებით. ეს შეფასება ეფუძნება შეფასებებსა და მოსაზრებებს და შესაძლოა ითვალისწინებდეს კომპლექსური გადაწყვეტილებების სერიას მომავალ ღონისძიებებთან დაკავშირებით.

5. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2017 წლის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაერად არის წარმოდგენილი:

	31 დეკემბერი, 2017 წ.	31 დეკემბერი, 2016 წ.
ნაღდი ფული სალაროში	31,625	-
ნაღდი ფული ბანკში	386,100	604,635
ნაღდი ფული ტრანზიტში	4,959	-
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	422,684	604,635

ფული და ფულის ექვივალენტების განაწილება ვალუტის მიხედვით წარმოდგენილია განმარტება 14-ში.

6. კლიენტებზე გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხები 2017 წლის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაერად არის წარმოდგენილი:

	31 დეკემბერი, 2017 წ.	31 დეკემბერი, 2016 წ.
კლიენტებზე გაცემული სესხები	1,793,459	286,312
დარიცხული პროცენტი	49,208	4,752
კლიენტებზე გაცემული მთლიანი სესხები	1,842,667	291,064
მინუს: გაუფასურებით გამოწვეული ზარალის რეზერვი*	-	(5,727)
კლიენტებზე გაცემული წმინდა სესხები	1,842,667	285,337

*როგორც ქვემოთ მოცემულ ცხრილშია წარმოდგენილი, კლიენტებზე გაცემული ყველა სესხი უზრუნველყოფილია მანქანებით ან უძრავი ქონებით. მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ გირაოს სამართლიანი ღირებულება, რომლის შეფასებაც მოხდა სესხის პროექტის საწყის ფაზაში, ყოველთვის აჭარბებს შესაბამისად უზრუნველყოფილი სესხების საბალანსო ღირებულებას 2017 წლის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაუფასურებით გამოწვეული ზარალის რეზერვი არ იქნა აღიარებული სესხების საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის არსებული პოზიტიური სხვაობის გამო, რაც მოიცავს გირაოს საშუალებით დაფარვად თანხებს, რომლებიც დისკონტირებულია სესხის თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთამდე. მენეჯმენტი არ მოელის რაიმე შესაძლო ნეგატიურ მოძრაობებს საბაზრო ფასებში, შესაბამისად, სესხების ამოღების ხარისხზე მნიშვნელოვან გავლენას არ ექნება ადგილი.

შემდეგი ცხრილი წარმოადგენს ინფორმაციას მანქანებითა და უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ კლიენტებზე გაცემულ სესხებზე, 2017 წლის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

6. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

	31 დეკემბერი, 2017წ.		31 დეკემბერი, 2016წ.	
	მანქანები	უძრავი ქონება	მანქანები	უძრავი ქონება
კლიენტებზე გაცემული მთლიანი სესხები	1,829,649	13,018	268,137	17,200

შემდეგი ცხრილი წარმოადგენს ინფორმაციას ვადაგადაცილებული სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2017 წლის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

კლიენტებზე გაცემული სესხები ხელშეკრულების მიხედვით	31 დეკემბერი, 2017წ.	31 დეკემბერი, 2016წ.
მიმდინარე	1,524,854	282,180
30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	244,924	8,884
30-დან 60 დღემდე ვადაგადაცილება	17,307	-
60 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	55,582	-
კლიენტებზე გაცემული მთლიანი სესხები	1,842,667	291,064
მინუს: გაუფასურებით გამოწვეული ზარალის რეზერვი	-	(5,727)
კლიენტებზე გაცემული წმინდა სესხები	1,842,667	285,337

7. უძრავი ქონება და აღჭურვილობა

უძრავი ქონება და აღჭურვილობა 2017 წლის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

ისტორიული ხარჯი	კომპიუტერები და სხვა ტექნიკური აღჭურვილობა	ოჯართი აღებული საკუთრების გაუმჯობესება	ავეჯი და მოწყობილობა	მანქანები	სხვა	სულ
2016 წლის 1 იან	9,194	-	-	-	-	9,194
დამატებით შეძენილი	96,240	75,337	42,335	41,239	16,464	271,615
2016 წლის 31 დეკ	105,434	75,337	42,335	41,239	16,464	280,809
დამატებით შეძენილი	3,523	-	4,400	-	9,490	17,413
2017 წლის 31 დეკ	108,957	75,337	46,735	41,239	25,954	298,222
აკუმულირებული ცვეთა						
2016 წლის 1 იან	-	-	-	-	-	-
ცვეთის დარიცხვა	(13,700)	(10,089)	(4,820)	(7,691)	(2,260)	(38,560)
2016 წლის 31 დეკ	(13,700)	(10,089)	(4,820)	(7,691)	(2,260)	(38,560)
ცვეთის დარიცხვა	(18,503)	(15,067)	(8,553)	(8,248)	(6,508)	(56,879)
2017 წლის 31 დეკ	(32,203)	(25,156)	(13,373)	(15,939)	(8,768)	(95,439)
ნარჩენი საბალანსო ღირებულება						
2016 წლის 31 დეკ	91,734	65,248	37,515	33,548	14,204	242,249
2017 წლის 31 დეკ	76,754	50,181	33,362	25,300	17,186	202,783

8. დაბეგვრა

დროებითი სხვაობების მოძრაობაზე გადასახადის გავლენა, რომელიც აღრიცხულია 15%-ით, არის შემდეგი:

დროებითი სხვაობები 15%-ზე შემდეგი მიზეზებით:	ნაშთი 2015 წ. 31 დეკემბრის	დაკრედიტდა (აღირიცხა) მოგება-ზარალის ანგარიშში 2016 წ.	ნაშთი 2016 წ. 31 დეკემბრის	დაკრედიტდა (აღირიცხა) მოგება-ზარალის ანგარიშში 2017 წ.	ნაშთი 2017 წ. 31 დეკემბრის
კლიენტებზე გაცემული სესხები	-	859	859	(859)	-
უმრავი ქონება და აღჭურვილობა	-	(2,075)	(2,075)	2,075	-
ნასესხები სახსრები	-	2,461	2,461	(719)	1,742
საგადასახადო ზარალის გადატანა შემდგომ პერიოდზე	3,462	130,476	133,938	113,761	247,699
სულ დროებითი სხვაობები	3,462	131,721	135,183	114,258	249,441
არა-აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივები					
საგადასახადო ზარალის გადატანა შემდგომ პერიოდზე	-	-	-	(247,699)	(247,699)
გადავადებული საგადასახადო აქტივი	3,462	131,721	135,183	(133,441)	1,742

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, საშემოსავლო გადასახადის კალკულაციის ახალი მოდელი ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან. ახალი საგადასახადო სისტემის სპეციფიური ხასიათის გამო, აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და საგადასახადო ბაზას შორის არ არსებობს ისეთი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივები ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები. თუმცა, წინა წლის გადავადებული საგადასახადო აქტივები / ვალდებულებები სრულად იქნებოდა ჩამოწერილი / დაფარული შემდეგი ფინანსური წლის ბოლოსათვის.

ზემოთ ხსენებულის გამო, გადავადებული საგადასახადო აქტივები არ იქნა აღიარებული გადატანილ საგადასახადო ზარალთან მიმართებაში, რაც წარმოშობს გადავადებულ საგადასახადო აქტივებს, რადგან მენეჯმენტის რწმენით, ნაკლებად სავარაუდოა ამ აქტივების შემდეგი წლის განმავლობაში ამოღება (დაფარვა).

საშემოსავლო გადასახადის ხარჯი 2017 წლის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს შემდეგს:

	2017წ.	2016წ.
მიმდინარე საშემოსავლო გადასახადი	-	-
დროებითი სხვაობების გავლენა	(133,441)	131,721
საშემოსავლო გადასახადის სარგებელი/(ხარჯი)	(133,441)	131,721

დადგენილი ფაქტობრივი განაკვეთის გათვალისწინებით საშემოსავლო გადასახადის ხარჯის შედარება შემდეგია:

	2017	2016
ზარალი საშემოსავლო გადასახადამდე	(757,843)	(913,051)
მოქმედი საგადასახადო განაკვეთი	15%	15%
თეორიული საშემოსავლო გადასახადის სარგებელი	113,676	136,958
არა-აღიარებული საგადასახადო ზარალის გავლენა	(247,699)	-
მუდმივი სხვაობების გავლენა	582	(5,237)
საშემოსავლო გადასახადის სარგებელი/(ხარჯი)	(133,441)	131,721

9. ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრები 2017 წლის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაერად არის წარმოდგენილი:

				31 დეკემბერი, 2017წ.	
	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის თარიღი	პროცენტი	ძირი
ნასესხები სახსრები:					
აქციონერებისგან	USD	6.0%	ნოვ, 2018წ.	2,512	518,440
სხვა პირებისგან	GEL - USD	3.5%-15%	თებ, 2018წ.-ივნ,2018წ.	9,105	1,053,006
სულ ნასესხები სახსრები				11,617	1,571,446

				31 დეკემბერი, 2016წ.	
	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის თარიღი	პროცენტი	ძირი
ნასესხები სახსრები:					
აქციონერებისგან	USD	6.0%	Nov 2017	88	529,360
სხვა პირებისგან	USD	3.5%-6%	Mar 2017 - Aug 2017	16,306	767,051
სულ ნასესხები სახსრები				16,394	1,296,411

ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ნასესხები სახსრები, როგორც ფულადი, ისე არა-ფულადი ნაკადებიდან წარმოშობილი ცვლილებების ჩათვლით, შემდეგნაერად არის წარმოდგენილი:

	Borrowings
2016 წლის 31 დეკ	1,312,805
ფულადი ნაკადები	775,343
არა-ფულადი ნაკადები:	
საკუთარ კაპიტალად კონვერტირებული ნასესხები სახსრები *	(605,425)
პროცენტის დარიცხვა პერიოდში	99,009
უცხოური ვალუტის გავლენა	1,331
2017 წლის 31 დეკ	1,583,063

*2018 წლის 23 მარტს, ყველა დამფუძნებელი პარტნიორის სახელით, ქ-ნმა რუხსანა ბაშირმა მოახდინა ნასესხები სახსრების საწესდებო კაპიტალში კონვერტირება, ჯამური თანხით 605,425 ლარი (250,000 აშშ დოლ). შესაბამისად, ორგანიზაციას არ ექნება ქ-ნი რუხსანა ბაშირისთვის 250,000 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულება.

10. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი 2017 წლის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

აქციონერები	31 დეკემბერი, 2017წ.		31 დეკემბერი, 2016წ.	
	წილი	თანხა	წილი	თანხა
იმრან ხიზარ ჰაიატი	20%	520,400	20%	158,900
რუხსანა ბაშირი	16%	416,320	32%	254,240
მუჰამედ ალი	8.5%	221,170	17%	135,065
ზუბაირ ულა ხან ბანგაში	8.5%	221,170	-	-
მუჰამედ აბდულა ხან ბანგაში	8%	208,160	-	-
ათიფ ულა ხან ბანგაში	8%	208,160	-	-
ფაჰდ ალი შეიხი	6%	156,120	12%	95,340
შაუკატ ულა ხან ბანგაში	6%	156,120	-	-
ჰიბა შეიხი	5.5%	143,110	11%	87,395
ჰაჯი საიფ ულა ხან ბანგაში	5.5%	143,110	-	-
ოსმან ბაშირი	4%	104,080	8%	63,560
კიფაიატ ულა ხან ბანგაში	4%	104,080	-	-
სულ სააქციო კაპიტალი	100%	2,602,000	100%	794,500

ნასესხები სახსრების საწესდებო კაპიტალში კონვერტირების შესახებ ინფორმაცია მოცემულია განმარტება 9-ში.

11. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

წმინდა საპროცენტო შემოსავალი 2017 წლის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

საპროცენტო შემოსავალი წარმოიშობა:	2017	2016
კლიენტებზე გაცემული სესხები	558,890	11,773
დეპოზიტები ბანკებში	22,878	14,685
სულ საპროცენტო შემოსავალი	581,768	26,458
საპროცენტო ხარჯები წარმოიშობა:		
ნასესხები სახსრები	(99,009)	(20,616)
სულ საპროცენტო ხარჯი	(99,009)	(20,616)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	482,759	5,842

12. საოპერაციო და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები

საოპერაციო და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები 2017 წლის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად არის

	2017	2016
იჯარა	(193,734)	(134,379)
ცვტა	(56,879)	(38,560)
პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერის ხარჯები	(55,557)	(15,921)
დაზღვევა	(51,115)	(1,124)
საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურებები *	(33,825)	(2,961)
განაცხადის ინსპექტირების ხარჯები	(26,688)	(15,397)
რეკლამა	(19,280)	(15,362)
კომუნალური მომსახურება	(11,811)	(6,595)
კომუნიკაცია	(11,719)	(4,399)
მივლინებები	(9,803)	(17,660)
უსაფრთხოება	(9,675)	(5,692)
სხვა	(24,615)	(25,590)
სულ საოპერაციო და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(504,701)	(283,640)

*საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურებები მოიცავს აუდიტის საფასურს, სულ 7,176 ლარის ოდენობით, დღგ-ს გარეშე, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

13. ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი, სასამართლო ხარჯები

ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში ორგანიზაციაში შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სამართლებრივ ქმედებებს და საჩივრებს.

ორგანიზაციის კლიენტების მიერ სესხის დაფარვის ვალდებულებების შეუსრულებლობის შემდეგ, ორგანიზაცია ჩართულია ასეთ კლიენტთა წინააღმდეგ სამართლებრივ დავებში. ასეთი სამართლებრივი დავებიდან ყველაზე მაღალი შესაძლო შედეგია მისაღები სესხების ამოღება ასეთი კლიენტებისგან (დარიცხული პროცენტისა და სხვა დანარიცხების ჩათვლით).

საოპერაციო იჯარის ვალდებულებები

ორგანიზაცია იჯარით იღებს ოფისებს საოპერაციო იჯარის ფარგლებში. იჯარები ფორმდება სხვადასხვა პერიოდის განმავლობაში, იჯარის ვადის გასვლის თარიღზე იჯარის განახლების პირობით. 2017 წლის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არა-გაუქმებადი საოპერაციო საიჯარო ვალდებულებების გადახდის ვადები მოცემულია ქვემოთ:

	31 დეკემბერი, 2017წ.	31 დეკემბერი, 2016წ.
3 თვემდე	50,937	19,851
3 თვიდან 1 წლამდე	152,810	62,200
1 წლიდან 3 წლამდე	436,092	131,017
3 წელზე მეტი	382,919	-
ფინანსური ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი ხარჯები	1,022,758	213,068

14. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკის მართვა

როგორც ფინანსური ინსტიტუტი, ორგანიზაცია დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად წარმოშობილი რისკების წინაშე. წინამდებარე განმარტება აღწერს ორგანიზაციის ვალდებულებებს, პოლიტიკებსა და პროცესებს ამგვარი რისკების მართვის მიზნებისათვის, ასევე, მეთოდებს, რომლებიც გამოიყენება მათი შეფასებისთვის. დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია ამ რისკებთან მიმართებაში წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც არიან ლიკვიდური ან აქვთ მოკლე დაფარვის ვადა, სავარაუდოა, რომ საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

ზოგადი ამოცანები, პოლიტიკა და პროცესები

მენეჯმენტს აქვს საერთო პასუხისმგებლობა ორგანიზაციის რისკების მართვის ამოცანების და პოლიტიკის განსაზღვრაზე და, საბოლოო პასუხისმგებლობის შენარჩუნების პირობებში, მენეჯმენტს დელეგირებული აქვს საოპერაციო პროცესების შექმნის უფლებამოსილება, რაც უზრუნველყოფს ამ ამოცანებისა და პოლიტიკების ეფექტურ განხორციელებას ორგანიზაციის საფინანსო ფუნქციებთან მიმართებაში.

მენეჯმენტის საერთო მიზანია, შექმნას პოლიტიკა, რომელიც მოემსახურება რისკების შემცირებას, რამდენადაც შესაძლებელია, ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე არასასურველი გავლენის გარეშე. ამ პოლიტიკებთან დაკავშირებული დამატებითი დეტალები მოცემულია ქვემოთ. ორგანიზაცია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
 - სავალუტო რისკი
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკის შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე იწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის, ვალდებულების შესაბამისად გადახდის შეუსრულებლობის გზით. საკრედიტო რისკი წარმოიშობა სესხების გაცემის და სხვა კონტრაგენტებთან ტრანზაქციების განხორციელებისას, და შედეგად იწვევს ფინანსური აქტივების წარმოშობას.

რამდენადაც ორგანიზაცია გასცემს მიკრო-სესხებს კლიენტებზე, როგორც ძირითადი საქმიანობა, საკრედიტო რისკს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ნებისმიერი მიკრო-საფინანსო ორგანიზაციის (MFO) რისკის მართვის პროცესის მსგავსად. ამ რისკით გამოწვეული მნიშვნელოვანი ფინანსური ზარალის თავიდან აცილების მიზნით, ორგანიზაცია იყენებს სხვადასხვა მეთოდებს მათი ეფექტურად იდენტიფიცირებისა და მართვისათვის.

ორგანიზაცია მუდმივად უწევს მონიტორინგს ინდივიდუალური კრედიტის შესრულებას და ფილიალები რეგულარულად ახდენენ თავიანთი კლიენტების კრედიტუნარიანობის ხელახალ შეფასებას. ეს მიმოხილვა ეფუძნება საკრედიტო ერთეული მონიტორინგის პერსონალის მიერ მოპოვებული კლიენტების განახლებულ ფინანსურ ინფორმაციას.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს სესხის მაქსიმალურ მოცულობას. საკრედიტო რისკის ზემოქმედების მაქსიმალური სიდიდე ანგარიშგების თარიღისთვის შეადგენდა შემდეგს:

14. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკის მართვა (გაგრძელება)

	31 დეკემბერი, 2017წ.	31 დეკემბერი, 2016წ.
ფული და ფულის ექვივალენტები (სალაროში არსებული ფულის გარდა)	391,059	604,635
კლიენტებზე გაცემული სესხები	1,842,667	285,337
სულ საკრედიტო რისკის ზემოქმედება	2,233,726	889,972

კლიენტებზე გაცემულ სესხებთან დაკავშირებული ორგანიზაციის კრედიტის მოცულობა ასახულია განმარტება 6-ში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი ეხება დაფარვის ვადის დადგომისას ფინანსურ ინსტრუმენტებთან ასოცირებული სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვისთვის აუცილებელი, საკმარისი თანხების არსებობას.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნებისათვის ორგანიზაცია ატარებს მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რაც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. ლიკვიდურობისა და საპროცენტო განაკვეთის რისკის ანალიზი წარმოდგენილია ცხრილებში ქვემოთ. ქვემოთ მოცემული პრეზენტაცია ეფუძნება ორგანიზაციის წამყვანი მენეჯმენტის წევრების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას.

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაერადაა წარმოდგენილი:

ფინანსური ვალდებულებები	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე
ნასესხები სახსრები	95,493	1,553,771
სხვა ვალდებულებები	14,559	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	110,052	1,553,771

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობა 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაერადაა წარმოდგენილი:

ფინანსური ვალდებულებები	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე
ნასესხები სახსრები	730,585	582,220
სხვა ვალდებულებები	14,874	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	745,459	582,220

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკის შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტის საბაზრო ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი წარმოიშობა ორგანიზაციის მიერ პროცენტისა და უცხოური ვალუტის ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იმერყევის უცხოური ვალუტის კურსში (სავალუტო რისკი) და საპროცენტო განაკვეთებში (საპროცენტო განაკვეთის რისკი) ცვლილებების გამო.

14. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკის მართვა (გაგრძელება)

- სავალუტო რისკი

სავალუტო რისკის შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის კურსში ცვლილებების გამო. ორგანიზაცია განიცდის გაბატონებული უცხოური ვალუტის კურსში არსებული რყევების გავლენებს თავის ფინანსურ პოზიციაზე და ფულად ნაკადებზე.

უცხოური ვალუტის კურსის რისკის გავლენა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ცხრილში ქვემოთ:

ფინანსური აქტივები	ლარი	აშშ დოლ
ფული და ფულის ექვივალენტები	62,973	359,711
კლიენტებზე გაცემული სესხები	1,779,699	62,968
სულ ფინანსური აქტივები	1,842,672	422,679

ფინანსური ვალდებულებები	ლარი	აშშ დოლ
ნასესხები სახსრები	50,411	1,532,652
სხვა ვალდებულებები	14,559	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	64,970	1,532,652

ღია საბალანსო უწყისის პოზიცია	1,777,702	(1,109,973)
--------------------------------------	------------------	--------------------

უცხოური ვალუტის კურსის რისკის გავლენა 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ცხრილში ქვემოთ:

ფინანსური აქტივები	ლარი	აშშ დოლ
ფული და ფულის ექვივალენტები	1,508	603,127
კლიენტებზე გაცემული სესხები	-	285,337
სულ ფინანსური აქტივები	1,508	888,464

ფინანსური ვალდებულებები	ლარი	აშშ დოლ
ნასესხები სახსრები	-	1,312,805
სხვა ვალდებულებები	14,874	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	14,874	1,312,805

ღია საბალანსო უწყისის პოზიცია	(13,366)	(424,341)
--------------------------------------	-----------------	------------------

შემდგომი ცხრილი დეტალურად ასახავს ორგანიზაციის მგრძნობელობას უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ლართან მიმართებაში 20%-იანი ზრდის და შემცირების მიმართ და წარმოადგენს მენეჯმენტის შეფასებას უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილების თაობაზე. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი ერთეულების ნაშთს და არეგულირებს მათ კონვერტაციას წლის ბოლოსთვის 20%-იანი ცვლილებით უცხოური ვალუტის კურსში. ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულებების საფუძველზე, სრული შემოსავლის განაცხადსა და კაპიტალზე გავლენა 2017 წლის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

14. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკის მართვა (გაგრძელება)

ბაზრის გაცვლითი კურსის მერყეობის მგრძნობელობა	(ლარი / აშშ დოლ)	
	2017	2016
20% ზრდა	(221,995)	(84,868)
20% შემცირება	221,995	84,868

ანალიზის მიხედვით სავარაუდოა, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ კი საპროცენტო განაკვეთები, რჩება მუდმივი.

- საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთის პოტენციური ცვლილების შედეგად, რომელსაც შეუძლია ნეგატიური ზეგავლენა მოახდინოს ორგანიზაციის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებებზე. რისკი შესაძლოა წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადების შეუსაბამობის შედეგად, ასევე, ასეთი აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებების გადანაგარიშებასთან დაკავშირებული თავისებურებების შედეგად.

ორგანიზაციის ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელსაც ერიცხება პროცენტი, არის ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით, ამიტომაც, საბაზრო საპროცენტო განაკვეთის რყევები გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის შემოსავლებსა ან ხარჯებზე.

ფინანსური ვალდებულებების, რომელსაც ერიცხება პროცენტი, დაფარვის ვადების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ზემოთ, ლიკვიდურობის რისკის რაოდენობრივ ანალიზში.

15. კაპიტალის მართვა

ორგანიზაციის ამოცანები კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით შემდეგია:

- ორგანიზაციის უნარის შენარჩუნება, გააგრძელოს საქმიანობა და ოპერაციები სათანადო დონეზე; და
- შეასრულოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კაპიტალის მოთხოვნები.
- უზრუნველყოს ადეკვატური ამონაგები აქციონერებისთვის.

ორგანიზაცია ადგენს კაპიტალის ოდენობას მოთხოვნის შესაბამისად რისკის პროპორციულად. ორგანიზაცია მართავს თავისი კაპიტალის სტრუქტურას და შეაქვს მასში კორექტირებები ეკონომიკურ პირობებში და ძირითადი აქტივების რისკის მახასიათებლებში ცვლილებების ფონზე.

კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან მასში ცვლილების შეტანის მიზნით ორგანიზაციამ შესაძლოა შეიტანოს ცვლილება აქციონერებისათვის გადახდილი დივიდენდების მოცულობაში, დაუბრუნოს კაპიტალი აქციონერებს, ან გაყიდოს აქტივები ვალის შემცირების მიზნით.

16. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (IAS) 24-ის („დაკავშირებული მხარეები“) თანახმად, დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან შესაძლოა იყოს ერთი ან ერთზე მეტი:

- ა) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის საშუალებით: აკონტროლებენ, ან არიან კონტროლირებადი, ან არიან საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს მშობლებს, შვილობილ კომპანიებს და პარტნიორ-შვილობილ კომპანიებს); გააჩნიათ ინტერესი ორგანიზაციაში, რითიც ეძლევათ მნიშვნელოვანი გავლენა ორგანიზაციაზე; და გააჩნიათ ერთობლივი კონტროლი ორგანიზაციაზე;

16. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

- b) ორგანიზაციის წამყვანი მენეჯმენტის პერსონალის წევრები ან მათი მშობლები;
- c) ნებისმიერი პირის ოჯახის ახლო წევრები, მითითებულია პუნქტებში (a) ან (b);
- d) მხარეები, რომლებიც წარმოადგენენ კონტროლირებად სუბიექტს, ერთობლივად კონტროლირებად ან მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ მყოფ სუბიექტს, ან რომლისთვისაც არსებობს მნიშვნელოვანი ხმის მიცემის უფლება ამგვარ საწარმოში, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ნებისმიერი პირი, მითითებულია პუნქტებში (c) ან (b);

თითოეულ შესაძლო დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობების გათვალისწინებით, ყურადღება ეთმობა ურთიერთობის არსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. ორგანიზაციასა და სხვა დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ტრანზაქციების დეტალები მოცემულია ქვემოთ.

დაკავშირებული მხარეების ნაშთები და ტრანზაქციები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

ამონარიდი ფინანსური ამონაწერიდან	აქციონერები	წამყვანი ხელმძღვანელი პირები
ნასესხები სახსრები	520,952	-
საპროცენტო ხარჯი	(30,109)	-
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	-	(614,521)

დაკავშირებული მხარეების ნაშთები და ტრანზაქციები 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

ამონარიდი ფინანსური ამონაწერიდან	აქციონერები	წამყვანი ხელმძღვანელი პირები
ნასესხები სახსრები	529,448	-
საპროცენტო ხარჯი	(14,155)	-
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	-	(306,944)

17. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

ნასესხები სახსრები

ახალი სესხის მიღება - 2018 წლის 24 იანვარს ორგანიზაციამ მიიღო დამატებითი სესხი არსებული კრედიტორებისგან 200,000 აშშ დოლარის ოდენობით. წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრა 8.3%-ით, 12-თვიანი ვადით.

არსებული ხელშეკრულების გაგრძელება - 2018 წლის 24 იანვარს ორგანიზაციასა და ზემოთხსენებულ იმავე კრედიტორს შორის ხელი მოეწერა სასესხო ხელშეკრულების გაგრძელება. მხარეები შეთანხმდნენ, გააგრძელონ 300 000 აშშ დოლარის სესხი 2019 წლის 24 იანვრამდე.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ცენტრალის

მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნასთან ერთად

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა~

2017 წლის 31 დეკემბერს

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

„შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ცენტრალის“ დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით მოსაზრება 2017 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2018 წლის 25 აპრილს. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ არ არის ჩვენ მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობაზე და ასევე, მოიცავს თუ არა იგი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება თანხვედრაშია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

21 დეკემბერი, 2018

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

„შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ცენტრალის“ დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით მოსაზრება 2017 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2018 წლის 25 აპრილს. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ არ არის ჩვენ მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე, მოიცავს თუ არა იგი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება თანხვედრაშია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

21 დეკემბერი, 2018

სარჩევი

ორგანიზაციის შესახებ.....	4
დამფუძნებლები და მმართველობა.....	4
ამოცანები და მიზნები	5
კომპანიის ფილიალები	6
პროდუქტები.....	6
ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები და ფინანსური ანგარიშგება	7
პორტფელი	8
ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები.....	9
ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ.....	10
ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები.....	10
მომხმარებელთა უფლებების დაცვა.....	10
საპროცენტო განაკვეთების დინამიკა.....	11
რისკის მართვა	11
კვლევები.....	12
განვითარების გეგმები	12



მმართველობის ანგარიშგება

წინამდებარე დოკუმენტი, მოიცავს „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ცენტრალთან“ დაკავშირებულ ისეთ არსებით კომპონენტებს, როგორიცაა კომპანიის საქმიანობის აღწერა, მომსახურების სტანდარტები და სამომავლო პერსპექტივები; ასევე იდენტიფიცირებული და განხილულია ის ბიზნეს რისკები რომლებიც ქმნიან კომპანიის საქმიან გარემოს. შპს მისო „ცენტრალის“ მენეჯმენტის მიერ შემუშავებულ მმართველობის ანგარიშგების დოკუმენტში ასახულია ორგანიზაციის მმართველი გუნდის ხედვა, სამომავლო გეგმები და ბიზნეს სტანდარტები.

საქმიანობის მიმოხილვა

ორგანიზაციის შესახებ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ცენტრალი“ (შემდგომში - მისო „ცენტრალი“) წარმოადგენს „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონების საფუძველზე და მათ მოთხოვნათა შესაბამისად ჩამოყალიბებულ სამეწარმეო (კომერციულ) იურიდიულ პირს. კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოს ნორმატიული აქტების, (მათ შორის ზემოთ აღნიშნული კანონების) და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ცენტრალი“ (ს/კ.: **405121817**) დაფუძნდა 2015 წლის 23 ოქტომბერს. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსი ეროვნულ ბანკში მიენიჭა 2015 წლის 17 დეკემბერს განკარგულების N633 თანახმად და გაიცა საქმიანობის ნებართვა.

დამფუძნებლები და მმართველობა

კომპანიის უმაღლესი მმართველობის ორგანოა პარტნიორთა კრება. ორგანიზაციის საქმიანობის ზედამხედველობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო ყოველდღიურ მართვას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული აღმასრულებელი დირექტორი.

ორგანიზაციის მოქმედი პარტნიორები არიან:

1. რუხსანა ბაშირ;
2. მუხამედ ალი შეიკ;
3. ფაჰდ ალი შეიკ;

4. ჰიბა შეიკ;
5. ოსმან ბაშირ;
6. ზუბაირ ულაჰ ხან ბანგაშ;
7. მუჰამედ აბდულაჰ ხან ბანგაშ;
8. ატიფ ულაჰ ხან ბანგაშ;
9. შოკატ ულაჰ ხან ბანგაშ;
10. ჰიჯი საიფ ულაჰ ხან ბანგაშ;
11. კიფაიატ ულაჰ ხან ბანგაშ;
12. იმრან ხიზარ ჰაიატ.

შპს მისო „ცენტრალი“-ის სამეთვალყურეო საბჭო შედგება ხუთი წევრისაგან:

1. ტაჰირ ბაშირ - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე;
2. პარვეზ შაჰიდ - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. შოკატ ულაჰ ხან ბანგაშ - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;
4. ზუბაირ ულაჰ ხან ბანგაშ - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;
5. იმრან ხიზარ ჰაიატ - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;

მისო „ცენტრალი“-ის აღმასრულებელი დირექტორი მისი დაარსების დღიდან დღემდე არის იმრან ხიზარ ჰაიატ.

ამოცანები და მიზნები

კომპანიის მიზანია პასუხისმგებლიანი დაკრედიტების და მომხმარებელზე ორიენტირებული, გამჭირვალე საკრედიტო პოლიტიკის გზით, ღირსეული ადგილი დაიკავოს საქართველოს მიკროსაფინანსო ბაზარზე. ოპერირების პირველ ეტაპზე კომპანიამ ანალიზის საფუძველზე შეარჩია კონკრეტული ნიშა ბაზარზე საქმიანობის დასაწყებად, შექმნა კონკურენტუნარიანი საკრედიტო პროდუქტები, რომლებიც მაქსიმალურადაა მორგებული მომხმარებლის ინტერესებს. განვითარების შემდეგი ეტაპისათვის კომპანიის ამოცანაა, მომხმარებლისათვის ახალი საკრედიტო პროდუქტების შეთავაზებით მოახდინოს პორტფელის დივერსიფიკაცია და სხვადასხვა საკრედიტო სეგმენტის ათვისება.

კომპანია საქმიანობს შემდეგი ღირებულებებითი პრინციპებით:

- პასუხისმგებლობა - პასუხისმგებლიანი საკრედიტო პოლიტიკა, რითაც მინიმუმამდე მცირდება რისკი მომხმარებლისათვის.;

- გამჭვირვალობა - მომხმარებელს სრულად მიეწოდება ინფორმაცია შესაძლო საფრთხეების და რისკების შეახებ ;
- პარტნიორობა - კომპანია ორიენტირებულია ინვესტორთან და მომხმარებელთან ურთიერთობა იყოს დაფუძნებული პარტნიორულ საწყისებზე;
- ხელმისაწვდომობა - არსებითად მნიშვნელოვანი ფაქტორია კონკურენტუნარიანი საკრედიტო პოლიტიკის წარმართვისათვის.

კომპანიის ფილიალები

შპს მისო „ცენტრალი“-ის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე - საბურთალოს რაიონი, სააკაძის მეორე გასასვლელი N 2. ამავე მისამართზე მდებარეობს კომპანიის სათაო ოფისიც.

ფილიალები განთავსებულია მისამართებზე ქ.თბილისი გლდანი-ნამალაძევის რაიონი ო.ხიზანიშვილის ქ.N17 და დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, მ.წინამძღვრიშვილის ქ. N137.

ფილიალებისათვის ლოკაციის განსაზღვრა განხორციელდა შესაბამისი ანალიზის საფუძველზე.თითოეული ფილიალის არსებობას და განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს კომპანიის საქმიანობაში. დინამიურად იზრდება კომპანიის ცნობადობა. ყოველივე ეს იწვევს საკრედიტო პორტფელის დივერსიფიკაციას, რაც თავის მხრივ ამცირებს რისკებს და მეტად სტაბილურს ხდის კომპანიის საქმიანობას.

პროდუქტები

კომპანიის საქმიანობის დაწყება დაემთხვა საქართველოსა და მის ეკონომიკურ პარტნიორ ქვეყნებში არსებულ კრიზისს, რაც განაპირობებდა ფინანსურ არამდგრადობას და გაზრდილ რისკს. მიუხედავად ამისა, დამფუძნებლებმა მაინც არ თქვეს უარი ინვესტიციის განხორციელებაზე. რისკების მინიმალიზების მიზნით გადაწყდა ბაზრის ეტაპობრივი ათვისება. თავდაპირველად გადაწყდა მომხმარებლისათვის შეთავაზებულიყო ყველაზე მოთხოვნილი სასესხო პროდუქტები:

- **ავტოლომზარდი;**
- **ავტოსესხი ;**
- **იპოთეკური სესხი.**

ლარის კურსის მკვეთრი ვარდნის, შედეგად საკრედიტო ბაზარზე შექმნილი კრიზისის გამო, პრობლემური გახდა როგორც საბანკო ისე მიკროსაკრედიტო ორგანიზაციების იპოთეკით უზრუნველყოფილი სასესხო პორტფელი, რამაც ფინანსურთან ერთად სოციალური პრობლემაც შექმნა. ამ სამწუხარო რეალობამ განაპირობა, კომპანიის გეგმების კორექტირება. მიღებული იქნა გადაწყვეტილება, თავი შეგვეკავებინა საკრედიტო პორტფელის აგრესიული ზრდისაგან და საკრედიტო საქმიანობის პრიორიტეტი ყოფილიყო **ავტოლომზარდი** და **ავტოსესხი**, რაც ნაკლებრისკიანი იყო მომხმარებლისათვის და კომპანიისთვის.

პროდუქტებზე პირობები და საპროცენტო განაკვეთები განისაზღვრა საქართველოში მიკროსაფინანსო ბაზარზე არსებული განაკვეთებისა და პირობების შესაბამისად (ე.წ. ბაზრის მიმდევობა). პროდუქტების სპეციფიკიდან გამომდინარე სესხი გაიცემოდა როგორც ლარში, ასევე აშშ დოლარში, ეროვნული ბანკის შესაბამისი კურსით. აღნიშნული ხელსაყრელი იყო ორივე მხარისთვის.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები და ფინანსური ანგარიშგება

ფული და ფულის ექვივალენტები	422,684	604,635
გაცემული სესხები	1,842,667	285,337
სხვა აქტივები	40,489	42,258
უძრავი ქონება და აღჭურვილობა	202,783	242,249
გადავადებული საშემოსავლო გადასახადის აქტივი	1,742	135,183
აქტივები	2,510,365	1,309,662
ნასესხები სახსრები	1,583,063	1,312,805
სხვა ვალდებულებები	36,365	22,136
მთლიანი ვალდებულებები	1,619,428	1,334,941
საწესდებო კაპიტალი	2,602,000	794,500
აკუმულირებული ზარალი	(1,711,063)	(819,779)
მთლიანი კაპიტალი	890,937	(25,279)
საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი		
საზედამხედველო კაპიტალი/მთლიან აქტივებზე	35%	0%
ლიკვიდურობის კოეფიციენტი		
ლიკვიდური აქტივები/მთლიან ვალდებულებები	26%	45 %
გადახდის უნარიანობის კოეფიციენტები		
მთლიანი ვალდებულებები/მთლიან აქტივებზე	65%	102%
მთლიანი კაპიტალი/მთლიანი აქტივები	35%	0%
მთლიანი ვალდებულებები/მთლიანი კაპიტალი	181%	0%
ქონებრივი ინვესტიციების კოეფიციენტი		
ძირითადი საშუალებები/მთლიან კაპიტალზე	23%	0%

მისოს საწესდებო კაპიტალი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 794,500 ლარს. 2017 წელს კი - პარტნიორების მიერ საწედებო კაპიტალი 1,807,500 ლარით გაიზარდა და 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 2,602,000 ლარი.

კაპიტალის ზრდის პარალელურად, მნიშვნელოვნად გაიზარდა საკრედიტო პორტფელი - 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საკრედიტო პორტფელი შეადგენდა 285,337 ლარს. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პორტფელი გაიზარდა 1,842,667 ლარამდე.

2016 წლის 31 დეკემბერთან შედარებით (1,312,805 ლარი), 270,258 ლარით გაიზარდა მისოს მიერ მოზიდული სახსრები და 2017 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგინა 1,583,063 ლარი. მოზიდული სახსრები მიღებულია არარეზიდენტი ფიზიკური პირებისაგან დაბალი საპროცენტო განაკვეთით (იხ. ცხრილი), რის შედეგადაც კომპანიის წმინდა საპროცენტო შემოსავალმა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 488,486 ლარი.

31 დეკემბერი, 2017 წ.

ნასესხები სახსრები:	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	პროცენტი	ძირი
აქციონერებისგან	USD	6.0%	2,512	518,440
სხვა პირებისგან	GEL - USD	3.5%-15%	9,105	1,053,006
სულ ნასესხები სახსრები			11,617	1,571,446



31 დეკემბერი, 2016 წ.

ნასესხები სახსრები:	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	პროცენტი	ძირი
აქციონერებისგან	USD	6.0%	88	529,360
სხვა პირებისგან	USD	3.5%-6%	16,306	767,051
სულ ნასესხები სახსრები			16,394	1,296,411

პორტფელი

საქართველოს ეროვნული ბანკის ბრძანების შემდგომ, 2017 წლიდან კომპანიის სასესხო პორტფელის ცვლილების დინამიკა ხასიათდება ლარის პორტფელის ზრდადობით. კომპანიის სასესხო პორტფელი სრულად არის უზრუნველყოფილი.

სესხების პორტფელის მაჩვენებელი წარმოდგენილია გრაფიკულ გამოსახულებაში:



ფინანსური მაჩვენებლის გრაფიკი ასახავს 2016 – 2017 წლებში საკრედიტო პორტფელის მოცულობით მაჩვენებელს, რომელიც მიუთითებს, რომ 2017 წლიდან ხდება საკრედიტო პორტფელის ლარში დენომინაცია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საკრედიტო პორტფელი გაზრდილია - 1,557,330 ლარით 2016 წლის 31 დეკემბერთან შედარებით.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია ჩამოწერილი სესხები და დასაკუთრებული ქონება, აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ გირაოს სამართლიანი ღირებულება ყოველთვის აჭარბებს უზრუნველყოფილი სესხების საბალანსო ღირებულებას. ეს კი იძლევა საშუალებას, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზით, მსესხებლის მიერ ვალდებულების შესრულებისას წარმოქმნილი პრობლემების

შემთხვევაში, კრედიტის დაფარვა განხორციელდეს, უზრუნველყოფის მიზნით გირავნობით დატვირთული ქონების რეალიზების გზით, ისე რომ არ დარჩეს ნარჩენი ვალდებულება.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ აქვს საექვო სესხების გაუფასურებით წარმოქმნილი რეზერვი, რადგან უზრუნველყოფილი ქონების დადისკონტირებული რეალური ღირებულება აჭარბებს ამ სესხების საბალანსო ღირებულებას. შესაბამისად, მომხმარებლის მიერ სესხის არდაფარვის შემთხვევაში, კომპანია უზრუნველყოფილი ქონების რეალიზებით დაიბრუნებს გაცემულ თანხებს.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2017 წლის განმავლობაში, მისო-ს მიერ არ მომხდარა საკუთარი აქციების შეძენა.

ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები

ჩვენი გუნდი - საქმიანობის წარმართვაში, არსებითია ადამიანური რესურსის ფაქტორი. სწორედ ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ბაზრის შესწავლის და ანალიზის საფუძველზე განსაზღვრული სტრატეგიის შესაბამისად, კონკურსის წესით, განხორციელდა კომპანიის კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტება. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში დასაქმებულია 29 თანამშრომელი. კომპანიას ჰყავს ძლიერი, გამოცდილი და პროფესიონალი მმართველი გუნდი, როგორც წამყვან, ისე შუალედურ მენეჯერულ პოზიციაზე. ვცდილობთ, შევექმნათ ოპტიმალური პირობები ეფექტური შრომისა და კარიერული განვითარებისათვის. თანამშრომელზე ორიენტირებული მიდგომის მთავარი კრიტერიუმი სამართლიანობა და ობიექტურობაა, რასაც კომპანია ახორციელებს ადექვატური ანაზღაურების, დამატებითი ბონუს სისტემის და სხვადასხვა მამოტივირებელი ღონისძიებების მეშვეობით. ჯანსაღი გარემოს არსებობის მიზნით კომპანიაში მოქმედებს კომპანიის შინაგანაწესი და ეთიკის კოდექსი. კომპანიაში თანამშრომელთათვის შექმნილია შრომისათვის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო.

მომხმარებელთა უფლებების დაცვა

მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით 2016 წლის 23 დეკემბერს ეროვნულმა ბანკმა გამოსცა ბრძანება N 151/04 „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული წესით განსაზღვრული უმრავლესი საკითხი ბრძანების გამოქვეყნებამდე ისედაც მოქმედებდა ჩვენს ორგანიზაციაში, შესაბამისად უმტკივნეულოდ და მაქსიმალურად სწრაფ ვადებში შევძელით ბრძანებით განსაზღვრული საკითხების დანერგვა და ამოქმედება.

საპროცენტო განაკვეთების დინამიკა

არსებული რეალობიდან გამომდინარე, საკრედიტო ველი გადანაწილებულია ისე, რომ საბანკოსაგან განსხვავებით, მიკროსაფინანსო ველი წარმოადგენს მაღალრისკიან სექტორს. რისკების მეტნაკლებად დასაბალანსებად, მიკროსაფინანსო ბაზარი შედარებით ძვირი პროდუქტებით ხასიათდება.

მისო ხელმძღვანელობს ეროვნული ბანკის დირექტივებით, ფინანსურ ბაზარზე განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, არეგულირებს სასესხო პოლიტიკას. ქვეყანაში არსებული სოციალური და ეკონომიკური გარემოს გათვალისწინებით, ცდილობს საკრედიტო პროდუქტებზე შეამციროს საპროცენტო განაკვეთი.

რისკის მართვა

კომპანიის წინაშე არსებული ამოცანაა საბაზრო, საკრედიტო, საოპერაციო და ლიკვიდურობის რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა. საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა. რისკების დონის მუდმივი მონიტორინგი. მართვის პროცესი ხორციელდება მუდმივი მონიტორინგის საფუძველზე შესაბამისი რისკის გამოვლენის, იდენტიფიცირების, ანალიზის და მისი მინიმიზებისათვის ღონისძიებების შემუშავების გზით. მენეჯმენტი უშუალოდაა ჩართული რისკის მართვის პროცესში. სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორი პასუხისმგებელია რისკების მართვის სტრუქტურის გამართულ საქმიანობაზე.

საბაზრო რისკი - არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტიტუტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიცვლება საბაზრო ფასების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი მოიცავს სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის რისკს. საბაზრო რისკი წარმოიშვება საპროცენტო განაკვეთების მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტების ღია პოზიციებიდან, რომლებიც რეაგირებენ ზოგად და კონკრეტულ საბაზრო ცვლილებებსა და სავალუტო კურსების რყევებზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია კომპანიაზე საბაზრო რისკების გავლენის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, რისკებზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე. კომპანია განიცდის უცხოური ვალუტის კურსის რყევების გავლენას, ფინანსურ პოზიციაზე და ფულად ნაკადებზე. სავალუტო რისკის მინიმიზების მიზნით კომპანიაში აქტურად მუშაობს ხაზინის სამსახური.

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების მიღება/დაფარვის ვადების შეუსაბამობით. ასევე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე.

საკრედიტო რისკი - ეს არის რისკი რომელიც შეიძლება მიადგეს კომპანიას მსესხებლის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად.

კომპანიის პრიორიტეტული საკრედიტო პროდუქტის (ავტოსესხი) მოთხოვნაა მსესხებლის მინიმუმ 30%-ანი თანამონაწილეობა. კრედიტის უზრუნველასყოფად, გირავნობით დასატვირთი სატრანსპორტო საშუალების შეფასება ხორციელდება გარე დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ, რაც გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. გარდა ამისა კომპანიაში

დანერგილია სესხის დამტკიცების რამდენიმე საფეხურიანი პრაქტიკა, რაც საგრძნობლად ამცირებს საკრედიტო რისკს.

ლიკვიდურობის რისკი - დაფარვის ვადის დადგომისას, საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რომ მოხდეს კომპანიის წინაშე არსებული ფინანსური ვალდებულებების დაფარვა. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახორციელებს ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რაც ასევე აქტივების და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილია.

ინფორმაციული უსაფრთხოება - მსესხებელთა პერსონალური ინფორმაციის დაცულობის უზრუნველყოფის მიზნით, კომპანიაში მოქმედებს ინფორმაციული უსაფრთხოების უმაღლესი სტანდარტი. ხორციელდება შიდა ქსელის დაცვა გარე ზემოქმედებისგან. ასევე რეგლამენტირებულია პერსონალის წვდომა პერსონალურ ინფორმაციაზე ქსელის შიგნით. არსებული მოწყობილობების მონიტორინგისათვის გამოიყენება შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლა - კომპანია ცდილობს დაამკვიდროს უმაღლესი სტანდარტები ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მიზნით წარმოებულ საქმიანობაში. ამ მიზნით კომპანია მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს ეროვნულ ბანკთან და ფინანსური მონიტორინგის სამსახურთან.

კვლევები

გასული წლის განმავლობაში, იქიდან გამომდინარე, რომ მისო „ცენტრალი“ ორიენტირებული იყო საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციებთან ჰარმონიზაციაზე, კვლევებისა და განვითარების (Research & Development) ღონისძიებები არ განხორციელებულა.

განვითარების გეგმები

კომპანია განაგრძობს განვითარებასა და ეროვნული ბანკის რეგულაციების იმპლემენტაციას.

- 2017 წელს მისო „ცენტრალი“-ის განვითარების გეგმას წარმოადგენდა, ეროვნული ბანკის ახალი რეგულაციების მაქსიმალურად ინტეგრირება სამუშაო პროცესში;
- საკრედიტო ბაზარზე შექმნილი ახალი რეალობიდან გამომდინარე, მომხმარებლის მოთხოვნაზე ორიენტირებული ახალი პროდუქტების შექმნა;
- კომპანიის შემოსავლების ზრდის მიზნით, ხაზინის სამსახურის საქმიანობის გააქტიურება;
- აღნიშნულ მომსახურებაზე მოთხოვნის შემთხვევაში, ფულადი გზავნილების სისტემების დანერგვა.

ყოველი ზემოთ ჩამოთვლილი განხორციელდა გარდა ფულადი გზავნილების სისტემის დანერგვისა, ამრიგად 2018 წლისთვის დაისახა შემდეგი სტრატეგიული მიმართულებები:

1. სასესხო პორტფელის დინამიური ზრდა;
2. მომსახურების ხარისხის ამაღლება და სრულყოფა;

3. სასესხო ფორტფელის დივერსიფიკაცია და რისკების მინიმიზაცია;
4. მართვის ეფექტური სისტემის დანერგვა;
5. მომხმარებელთან ეფექტური კომუნიკაცია;
6. ფილიალების ქსელის სტაბილური განვითარებისათვის ბაზისის შექმნა და რეგიონალური პერსპექტივების ანალიზი;
7. ფულადი გზავნილების სისტემის დანერგვა. სავარაუდოდ MoneyGram და Western Union.

2018 წელი უნდა იყოს კომპანიის სტაბილური განვითარების წელი, რაც გულისხმობს შემოსავლის ზრდას აღნიშნულზე მიმართულია მენეჯმენტისა და სამეთვალყურეო საბჭოს მთლიანი ძალისხმევა.

„შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ცენტრალის“ 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2018 წლის 21 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:

აღმასრულებელი დირექტორი _____ იმრან ხიზარ ჰაიატი

3. სასესხო ფორტფელის დივერსიფიკაცია და რისკების მინიმიზაცია;
 4. მართვის ეფექტური სისტემის დანერგვა;
 5. მომხმარებელთან ეფექტური კომუნიკაცია;
 6. ფილიალების ქსელის სტაბილური განვითარებისათვის ბაზისის შექმნა და რეგიონალური პერსპექტივების ანალიზი;
 7. ფულადი გზავნილების სისტემის დანერგვა. სავარაუდოდ MoneyGram და Western Union.
- 2018 წელი უნდა იყოს კომპანიის სტაბილური განვითარების წელი, რაც გულისხმობს შემოსავლის ზრდას აღნიშნულზე მიმართულია მენეჯმენტისა და სამეთვალყურეო საბჭოს მთლიანი ძალისხმევა.

„შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ცენტრალის“ 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2018 წლის 21 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:

აღმასრულებელი დირექტორი


_____ იმრან ხიზარ ჰაიატი